# ბურჯი ეროვნებისა

№4

975
2000



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბესარიონ ჟორჟენაძის საზოგადოების ჟურნალი

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი
გიორგი გოგოლაშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე
კახა გაბუნია

პასუხისმგებელი მდივანი
ჭაბუკა ქირია

დირექტორი
მირიან ხაჭვანი

კონსულტანტი
იოსებ ჭუმბურიძე

რედაქტორები:
ცოცინო (ნინო) კვანტალიანი,
მარინე კიკონიშვილი,
ნანა ლოლაძე,
რამაზ ქურდაძე,
ნინო ჭუმბურიძე

მხატვრული რედაქტორი
ირაკლი ბეგლიანი

მხატვარი
გია ლაშხი

რედაქციის გამგე
მაია კობიაშვილი

სარედაქციო საბჭო:
მარინე ბერიძე,
გურამ ბურჭულაძე,
ლეილა გეგუჩაძე,
ქეთევან დათუკიშვილი,
რუსუდან ლანდია,
ნანა ურთაშვილი,
მიხეილ ქურდიანი,
ლევან ლეონჯილია,
ინგა ლეტიძე,
გიორგი წიბახაშვილი,
თამაზ ხმალაძე,
ნინო ჯორბენაძე

მორიგე რედაქტორი
ჭაბუკა ქირია

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ 12.04.99. № 4/9-88.
მისამართი:
პ. ინგოროყვას ქ. №8
ტ. 99-75-48

ინდექსი 76016

დღევანდელი ჩვენი მწერლობის კარგ დამკვირვებელს შემჩნეული ექნება ის სიტყვათა სიცოტავე, რომელიც საშინელ დაღს ასვამს ყოველი მწერლის შემოქმედებას. ხოლო რაც უარესია, ეს პატარა საუნჯეც დაუდევრად იხმარება, რის მიზეზადაც ცოდნის ნაკლებობა მიგვაჩნია. ქართველმა მწერალმა არ იცის ქართული ენა. იგი იოლად მიდის იმ „ცოდნით“, რომელიც გამოაყოლა თავისმა პროვინციამ, და მისი სტილიც ამ პროვინციით განისაზღვრება. არავინ არ დაგიდევთ, შეიძლება თუ არა იმ „გრამატიკის“ ხმარება, რომელიც თავში აქვს ჩაჭედილი ამა თუ იმ კუთხის წარმომადგენელს, და ამის გამო გაირყვნა ენა, გაირყვნა ისე, რომ სულ ადვილად შეიძლება ნაწერის მიხედვით გამოარკვიოთ ავტორის დაბადების ადგილი.

მიხეილ ჯავახიშვილი
1924 წ.

975
2000
ეროვნული ბიბლიოთეკა
21.684

# შინაარსი


**სახელმწიფო ენა**

გ. გოგოლაშვილი, რა ენა წახდეს ........ 2

**ენა და მწერალი**

რ. ინანიშვილი, „ეს ყველამ უნდა იცოდეს" ........ 3

**ქართული ენის მოჭირნახულენი**

გ. თოფურია, ვ.იმნაიშვილი, ვინჯერიდ ბოედერი ........ 4

**ადიდებს სული ჩემი უფალსა**

ზეთის კურთხევის საიდუმლოება ........ 7

**მეცნიერის არქივიდან**

ილია აბულაძის უცნობი წერილი ........ 8

**დედაენა**

სწორია... ........ 9

**გიორგი ლეონიძე —100**

ე. კოშორიძე, ენა მდიდარი და მშობლიური ........ 10

**წმიდათა თანა განუსვენე, უფალო** ........ 12-13

**რეცენზია**

ნ. შარაშენიძე, წიგნით გაგრძელებული სიცოცხლე ........ 14

**ჩვენი ენა ქართული**

ა. ჭინჭარაული, რა ეგების და რა არ ეგების? ........ 15
ს. ფხაკაძე, სამედიცინო ტერმინოლოგიის სრულყოფისათვის ........ 15

**აბიტურიენტის ფურცელი**

ა. ნიკოლეიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობები ........ 16

**გამოთხოვება**

ლია ლეჟავა ........ 20

**სიახლე**

ქართულად ამეტყველებული კომპიუტერი ........ 21

**ინფორმაცია** ........ 23

**ო, ენავ ჩემო...**

თ. ტაბიძე, კარიბი მოქმედებს, მაგრამ... ........ 24


2000 წლის 22 აპრილიდან 2 მაისამდე თბილისის სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა მხატვარ ლელა ფანჯიკიძისა და დიზაინერ ირაკლი ავალიანის („ბურჯი ეროვნებისას" მხატვრული რედაქტორი) პლაკატების გამოფენა. გარეკანის პირველ, მესამე და მეოთხე გვერდებზე გთავაზობთ ამ გამოფენის ექსპონატებს.


# ბურჯი ეროვნებისა

BURJI EROVNEBISA

№4 (28)

2000




უმთავრესი ბურჯი ეროვნებისა გახლავთ სამშობლო ენა.

ილია


გამოდის თვეში ერთხელ

ფასი 1 ლარი


საქართველოს ...

# რა ენა წახდეს...

14 აპრილი ქართული ენის დღეა. როცა მისი დაწესების საკითხი დადგა, ითქვა: „ამ დღეს შევაჯამებთ, თუ რა გაკეთდა წლის განმავლობაში ქართული ენის ფუნქციონირების, შესწავლისა და სწავლების საქმეში; გამოიცემა ერთდროული გაზეთი „დედაენა"...

ეს ითქვა კარგა ხნის წინათ... დღეს? ქართული ენის დღე ისეთივე უფერულ და შაბლონურ თარიღად ვაქციეთ, უამრავი რომ გვქონდა ახლო წარსულში.

იქნებ, ვცდები (ღმერთმა ქნას, ვცდებოდე)? მეტი რა გვინდაო, მეტყვიან: დედაენის ძეგლი ავაგეთ; დედაენის დღე დავაწესეთ...

სახელმწიფოებრივი ზრუნვა სახელმწიფო ენის არასდროს მოაკლდებაო... ამ თვალსაზრისით, ერთი შეხედვით, ღრმაინდელი ვითარება სასიკეთოდ განსხვავებულია: გვაქვს ქართული ენის სახელმწიფო კომისია; შეიქმნა სახელმწიფო სამსახური - ენის პალატა, თავისი რეგიონული სამმართველოებით... გვაქვს აკადემიური ინსტიტუტები, უმაღლესი სასწავლებლები, სადაც ქართული ენის სწავლება-შესწავლა ხდება... და მაინც, ეს ის არის, რაც გარედან მზერას უბრწყინავს თვალს... დღესდღეობით დედაენის მიმართ გულგრილობით ნაკლებ ყურადღებას ვიჩენთ, ვიდრე ამ ორი-სამი ათეული წლის წინათ.

დღეს სახელმწიფო ტელევიზიის პირველი არხით შეიძლება ასეთი აზრი იქადაგონ: ენის თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის ენის შენარჩუნება არ არის აუცილებელიო (!).

ერთ-ერთი პოპულარული ტელეკომპანიის (რუსთავი-2) დიქტორს ღია ეთერში შესჩივლეს, თქვენს გადაცემებში ქართული მოიკოჭლებს და სრულიად გაუგებარი და უადგილო პასუხი მოისმინეს: ენა წინ მიდის და მეცნიერება ვერ ეწევაო (?!) ამ „მოსწრებულ" პასუხს მერე დიქტორმა დასძინა, ჩვენი ენა უფრო ესმის ხალხს, ვიდრე ის, რომელსაც თქვენ მოითხოვთ ჩვენგანი(?!)... ეს არ არის მხოლოდ კურიოზი: ეს აშკარად აგდებაა ჩვენი ეროვნულობის უმთავრესი ბურჯისა - ქართული ენისა!

ნუ ვიტყვით, მერე რაო. ტელევიზიის ეკრანიდან გაჟღერებული ყოველი ასეთი აზრი ძალზე სახიფათოა. მას მეტი მსმენელი და დამჯერი ჰყავს (სამწუხაროდ), ვიდრე კომპეტენტური პირების ლოგიკურ და საფუძვლიან მსჯელობას.

ასეთი მოსაზრებები რჩება. ვიღაცას ხელს აძლევს ასეთი აზრების პროპაგანდა. ვინ არის ის „ვიღაცა"? შეიძლება კი იმ „ვიღაცის" დასახელება, რომ უაზრობაა „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს"? ამის დამტკიცებას, ცხადია, ვერავინ შეძლებს; არც მაინცდამაინც აუცილებლად რაიმეს მტკიცება; მოგვარია თქვენ, უარყოფ რაღაც... ენის წახდენა ერის დაცემას არ გამოიწვევსო,- ამის საბუთად შოტლანდიელის მაგალითი მოჰყავთ. გამოდგება კი ეს მაგალითი საბუთად? არ ვფიქრობ ამაზე. ვერც იმას ვიგებთ, რატომ ეძებენ უარყოფით მაგალითებს, როცა საპირისპირო მაგალითების მოყვანა უხვად შეიძლება... მაგრამ „ვიღაცას" არ აძლევს ხელს ამგვარი ფაქტების გამომზეურება. ვინ არის ის „ვიღაცა" და ვის დაკვეთით ცდილობს? ვის შეკვეთას ასრულებს?

ესეც საკითხავია: ასრულებს თუ ასრულებენ (ვაი, რომ ეს „ვიღაც" კრებით სახელად უფრო მოიაზრება).

ალბათ, არასდროს ისეთი პუბლიცისტური ჟღერადობა არ ჰქონია საუკუნეზე მეტი ხნის წინათ თქმულს, როგორც დღეს აქვს:

„ასწავლიან მწერლები,
ჟურნალისტები,
ვაი სამშობლოს,
ვაი ჩვენს ენას!...
(გ. ორბელიანი).

არაერთ პერიოდულ გამოცემას, ჟურნალისტს შეახსენეს ენის გამო: სთხოვეს, პატივი ეცით დედა-ენასო. მაგრამ შედეგი? სასიკეთო - არაფერი! არც არის გასაკვირი: მშობლიური ენის ერთგულება უცხოენათა უცოდინარობის გამოვლენად რომ მიაჩნიათ(!). ზოგ-ზოგებს შეიძლება, კომპლექსადაც კი მშობლიური ენის უცოდინარობა... არადა, „ვიღაცას" აძლევს ხელს საქმის ასეთი შემობრუნება... ვინ არის ის „ვიღაცა"? ვის წისქვილზე ასხამს წყალს? და როდემდე უნდა ვუცქიროთ გულხელდაკრეფილებმა იმ „ვიღაცას"? რისთვის გვჭირდება ამდენი სამსახური, კომისია! ერთგან დაინიშნა ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარე, ხელ-ფეხი გვაქვს შეკრული იმის გამო, რომ ენის კანონი არ არსებობსო. მართალია: ვქმნით სამსახურს და არ გაგვაჩნია საკანონმდებლო ბაზა, რომელსაც ეს სამსახური უნდა დაეყრდნოს... არც ადრე გვქონდა კანონი,- გვეტყვიან. მაგრამ ადრე დაუწერელ კანონებსაც ჰქონდა ძალა. დღეს კი დაუწერელი კი არა, დაწერილი კანონი აღარ მოქმედებს... ამიტომ დაწერილი კანონი არის საჭირო! ენის კანონი! ასეთი კანონის პროექტი არსებობს კარგა ხანია. მაგრამ „ვიღაცა" აბრკოლებს. „ვიღაცას" არ სურს, რომ მიიღონ და ამოქმედდეს. ვინ არის ეს „ვიღაცა" და რა მიზანი ამოძრავებს მას? როდის შევძლებთ, გავარკვიოთ ის, რაც იმ „ვიღაცას" არ სურს, მაგრამ ჩვენს ეროვნულობას ჰაერივით სჭირდება?

ამჯერად, სკოლაში ნუ შევიხედავთ, კიდევ უფრო რომ არ დამძიმდეს ჩვენი საზეიმო განწყობილება...

საერთო მონდომებაა საჭირო იმისათვის, რომ, მართლაც, საზეიმოდ გვქონდეს საქმე...

ბ. გოგოლაშვილი

*გაზეთი „თბილისი", 13 აპრილი, 2000 წ.*

**1978 წელს გამომცემლობა „მერანმა" დასტამბა რევაზ ინანიშვილის წიგნი „ჩიტების გამომზამთრებელი".**

**გამომცემელს ავტორისთვის იგნის ანოტაციის დაწერა უთხოვია. მწერალს შეუძლებლად მიუჩნევია მოკლე ანოტაციის დაწერა; იქვე განმარტავს, თუ რატომ იყო შეუძლებელი „მოკლე ანოტაციის" დაწერა. საკმაოდ ვრცელი წინასიტყვა გამოსულია. ეს ავტორისეული წინასიტყვა უაღრესად საინტერესოდ გვეჩვენება მოკლედ: გთავაზობთ ამ კონასიტყვას მცირე შემოკლებით... კიდევ ერთხელ ვეზიაროთ დიდი მწერლის „კალმის ნაყურს"...**

# „ეს ყველამ უნდა იცოდეს"...

[ამ წიგნის] ავტორს, და არა მარტო მას - ალბათ, ყველა ავტორს ქვეყანაზე, აქვს პრეტენზია, რომ მისი მთლად მცირე ფორმის ქმნილებაც კი ეხება მრავალ საკითხს, და თუკი ამ საკითხების გამოცალკევებას დავიწყებთ, ათობით მეტი წერილობითი ფურცელი დაგვჭირდება, ვიდრე თვით ნაწარმოებს უკავია.

ეს რომ ნამდვილად ასე არის, მე ავიღებ ერთ-ერთ უმცირესს თვით ჩემს მინიატურათა შორის - „თუშეთის მთებში" - და რამდენიმე მოსაზრებას მოგახსენებთ მის ირგვლივ.

აი, მთელი მინიატურა: **„თუშეთის მთებში, ხრიოკ მიწაზე, გულაღმა ვდივარ, ცხენისგან ნათრევი, დაჩეჩქილი, თვალებში სისხლჩაღვრებული, და შევლიში ჩემთან ჩამუხლულ, ხელებათახთახებულ, ატირებულ წითელ დედაბერს".**

რაზეა, რა არის თქმული ამ მინიატურაში? პასუხი უნდა დავიწყოთ იმით, რომ გაირკვეს, ვინ არის ცხენიდან ნამოვარდნილი, ნათრევი, დაჩეჩქილი, ისიც - თუშეთის მთებში. „მე" პირველი პირი, თითქმის არაფერს ნიშნავს, არ შეიძლება გავაიგივოთ იგი არც ავტორთან, რადგან სიტყვა „ავტორი" კონკრეტულს ვერაფერს წარმოადგენს განსაკუთრებით მკითხველთა ფართო წრეს. მისთვის, ამ წრისთვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უშუალოდ ნაწარმოებიდან ამომავალ სახეს, მის სოციალურ საწყისებს. ამგვარი სახის ამოსაკითხავად კი საჭიროა კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ მინიატურას, დავაკვირდეთ მისი თხრობის მანერას, მთხრობელის დამოკიდებულებას მომხდარ მოვლენასთან, მეორე პერსონაჟს - დედაბერს, და სხვა. ამგვარი დაკვირვება უთუოდ ცხადყოფს: 1. მთელი მინიატურა ერთი რთული, რიტმულად დაძაბული წინადადებითაა გადმოცემული. ეს მანერა მწიგნობრულია, ე.ი. კაცი, ვინც თხრობს, წიგნიერი სამყაროდან არის მოსული, გონებით მომუშავე. აქედან - ნათელია, რომელ სოციალურ ფენას ეკუთვნის იგი. 2. მთხრობელის დამოკიდებულება მომხდარ მოვლენასთან - საკუთარ თავზე დატეხილ უბედურებასთან - ირონიულია, ცინიკურიც კი. მაშასადამე, ცხენიდან ნამოვარდნილია წიგნიერი კაცი, ინტელიგენტი, დამარცხებული მძიმედ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ღიმილითა და რაღაც კმაყოფილებითაც კი შესცქერის მასთან ჩამუხლულ, ატირებულ დედაბერს. რა ღიმილია ეს ღიმილი, რა კმაყოფილება გამოსჭვივის დაზარალებულის გამოხედვიდან? მე ასე ვკითხულობ - ცხენიდან ნამოვარდნილი კაცი უკმაყოფილო უნდა ყოფილიყო საკუთარი თავის, საკუთარი ყოფისა თუ ღვაწლის, ახლა სასჯელდადებულად გრძნობს თავს. და ეს სასჯელი უმსუბუქებს სულიერ ტანჯვას, რომელიც როგორც ცნობილია, გაცილებით მძიმეა, ვიდრე ფიზიკური ტანჯვა. კიდევ უფრო მეტიც: - დასჯილს დასტირის მასთან ჩამუხლული წითელი დედაბერი. რატომ წითელი? რა არის ეს სიწითლე? ჯერ ერთი - თვით მინიატურაშია თქმული, რომ კაცს სისხლი აქვს ჩაქცეული, ჩაგუბებული თვალებში, მეორეც - ზეიმურია სიწითლე დედაბრისა. რა არის ამ ტრაგიკულ სცენაში საზეიმო? თავისი თავის უკმაყოფილო კაცი ზეიმობს, რომ მას დასტირიან, ცრემლის ღირსად ხდიან. ტირის, თანაც, თუში დედაბერი, განსახიერება ღვთური სიყვარულისა, ღვთური სიკეთისა.

იბადება შემდეგი კითხვა: რით უნდა იყოს გამოწვეული კრახი,- პერსონაჟის უმოქმედობით, თუ უგზო მოქმედებით. უმოქმედო კაცი თუშეთის მთებში არ დაიწყებს ცხენის ჭენებას, უმოქმედო კაცი ტკბობამდე ვერ აღიქვამს თავზე დატეხილ უბედურებას. მაშასადამე, ცხენიდან ნამოვარდნილია ტემპერამენტიანი, მაგრამ უგზო მოქმედების კაცი. დედაბერი? რატომ დასტირის ამ უგზო კაცს დედაბერი? ზემოთ უკვე ითქვა - იგი განსახიერებაა ღვთური სიყვარულისა და სიკეთისა, მისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რა ბიოგრაფიის კაცი გდია მის წინ, მთავარია რომ მოდის დედების რისხვა, - უფრო სიკვდილი. ასეთ დროს უნდა იტირონ დედამ, და ტირის კიდეც. თანაც, უთუოდ, ყველა დედის მაგივრადაც.




კიდევ შეიძლო გაგვეგრძელებინა მსგავსი გამორჩევანი, მაგრამ ვფიქრობ, რომ აქამდე თქმულიც საკმარისი უნდა იყოს ჩემი ახირებული უარის გამართლებისათვის, სახელდობრ - ტრადიციული ანოტაციას რომ არ ვწერ. ამასთან ერთად, ცოტა უხერხულიცაა ამგვარ წვრილმანებზე ესევითარი დაბეჯითებით ლაპარაკი ჩვენს განათლებულ დროში. ეს ხომ ყველამ უნდა იცოდეს, და, ალბათ, იცის კიდეც.

# ვინფრიდ ბოედერი



ცნობილი გერმანელი ქართველოლოგი ვინფრიდ ბოედერი დაიბადა 1937 წლის 2 აპრილს არვაილერში, ბონის სიახლოვეს (რაინლანდი, გერმანია), ვილჰელმ ბოედერისა და ელიზაბეთ ბრაუნის ოჯახში. მამა საოლქო სამსახურის ადმინისტრაციაში მუშაობდა, დედა დიასახლისი იყო. 1943-47 წლებში ვინფრიდი არვაილერის საშუალო სკოლაში (Grundschule) სწავლობდა. 1947 წლის შემოდგომიდან კი იმავე ქალაქში ახალი ენების გიმნაზიაში შევიდა, სადაც 1956 წლის გაზაფხულამდე დაჰყო. გიმნაზიაში ისწავლებოდა დასავლური ენები - ინგლისური და ფრანგული, აგრეთვე ლათინური, რაც სავალდებულო იყო ყველასთვის. მოსწავლეთა პატარა ჯგუფი მეცადინეობდა ბერძნულს, რაც არ იყო სავალდებულო. უპირველესი ენა იყო ფრანგული (რადგან ქალაქი ომის შემდეგ დაკავებული გერმანიის ფრანგულ ზონაში მდებარეობდა). გიმნაზია ვინფრიდმა აბიტურით დაამთავრა - ასეთ კურსდამთავრებულებს უფლება ჰქონდათ, პირდაპირ გახდნენ ამა თუ იმ უნივერსიტეტის სტუდენტები.

1956 წელს ვინფრიდ ბოედერი შევიდა ფრაიბურგის (in Breisgau) უნივერსიტეტში, სადაც ინდოგერმანისტიკასა და იურისპრუდენციას სწავლობდა. სამი სემესტრის შემდეგ თავი მიანება იურისპრუდენციას და მეცადინეობდა ინდოგერმანული ენების შედარებით ენათმეცნიერებას, როგორც ძირითად საგანს, პროფესორ იოჰანეს ლოჰმანთან, აგრეთვე დამატებით - ბერძნულსა და ლათინურს. ეს სამი საგანი მისთვის ძირითად საგნებს წარმოადგენდა.

1958-59 წლებში ბოედერმა რამდენიმე თვე გაატარა ლიეჟსა (ბელგია) და პარიზში, სადაც ზოგადი ენათმეცნიერება, ინდოგერმანისტიკასა და ირანისტიკას ეუფლებოდა პროფესორებთან ჟ. დიუშენ-გილემენთან (ლიეჟში), ჟორჟ დიუმეზილთან, ემილ ბენვენისტსა და სხვებთან (პარიზში). მას განსაკუთრებით დიუმეზილთან ჰქონდა ხშირად კონტაქტები.

1959 წლის ზაფხულში ბოედერმა ერთი სემესტრი გაატარა ჰამბურგში, შედარებითი ენათმეცნიერების კათედრაზე, რათა იქ ირანისტიკაში ემეცადინა.

ფრაიბურგში დაბრუნების შემდეგ მან დაიწყო დისერტაციის („საშუალო გვარი ბერძნულ ენაში") წერა და მომდევნო (1961) წელს წარმატებით დაიცვა იგი თავის მასწავლებელ ლოჰმანთან, რომელმაც თავისი მოწაფე ასისტენტად აიყვანა. ერთი წლის შემდეგ ბოედერი ასისტენტად გადავიდა პროფესორ ჰანს ჰარტმანთან ჰამბურგის უნივერსიტეტში შედარებითი ენათმეცნიერების კათედრაზე.

1968 წელს ჰამბურგში ბოედერმა დაიცვა მეორე დისერტაცია ზოგად და შედარებით ენათმეცნიერებაში. თემა იყო ლათინური სინტაქსის ვერბალური თეორიის შესახებ (Satzeinbettung im Lateinischen). ერთი წლის შემდეგ - 1969 წლის მარტი (ზაფხულის) სემესტრიდან ბოედერმა მუშაობა დაიწყო კილის უნივერსიტეტში ახალ თანამდებობაზე: იგი გახდა პროფესორი ზოგად და შედარებით ენათმეცნიერებაში ფილოსოფიის ფაკულტეტის ინდოგერმანული ენათმეცნიერების კათედრაზე (პროფესორი C-2 გრიფით).

ბოედერმა მიიღო venia Legendi - ამის შესაძლებლობა, რომ უნივერსიტეტში ლექციები წაეკითხა - ამის უფლებას იძლევა ჰაბილიტაცია. გარდა ამისა, მას ნება დართეს, რომ მოემზადებინა სალექციო (ლექციური - სასემინარო) დისკუსიებისთვის დისერტანტები.

1972 წელს ოლდენბურგში ბოედერი გადადის ოლდენბურგის უნივერსიტეტის ენების ფაკულტეტზე, სადაც ის 1973 წლიდან პროფესორის თანამდებობაზე მუშაობს. მისი ვიწრო სპეციალობაა ზოგადი და ინგლისური ენათმეცნიერება (ძირითადი აქცენტით - ანგლისტიკა). ახლა მისი გრიფია C-4, მოქმედი მოვალეობაც. ამის შემდეგ ვინფრიდ ბოედერს აღარ დაუტოვებია გერმანიის ჩრდილოეთში მდებარე ეს ქალაქი, სადაც თავის საქმიანობას სამეცნიერო თუ ადმინისტრაციული ხაზით ერთმანეთს უთავსებს დიდი სიყვარულითა და პასუხისმგებლობით.

ვინფრიდ ბოედერი თანაგამომცემელია სერიისა „გერმანული გრამატიკის შტუდიები" (ადრე: გუნტერ ნარის გამომცემლობა, დღეს: შტაუფენბურგის გამომცემლობა, ტიუბინგენი).

1974 წლიდან ყოველ ორ წელიწადში ერთხელ გერმანიის სამეცნიერო კავშირის (DFG) ხელშეწყობით ვინფრიდ ბოედერი ჩამოდის საქართველოში სამეცნიერო მივლინებით.

1962 წლიდან ვინფრიდ ბოედერი დაქორწინებულია დორის ბიულერზე.

პირველ დისერტაციაზე მუშაობისას (1961) ვინფრიდმა წაიკითხა გ. დეეტერსის მონოგრაფია ქართული ზმნის შესახებ ("Das Khartwelische Verbum"), რადგან საშუალი გვარის საკითხებზე მუშაობდა. პირველი ინტერესი ქართულის შესახებ სწორედ მაშინ აღიძრა. ჰამბურგში რომ დაიწყო მუშაობა, აღმოსავლეთმცოდნეობის პროფესორი ბერთოლდ შპულერი ზოგჯერ ქართულის კურსსაც კითხულობდა, თუმცა ძირითადად არაბულის სპეციალისტი იყო. ვინფრიდ ბოედერი შპულერის ლექციებს არ ესწრებოდა, მაგრამ, როდესაც ჰამბურგში ქართველი ემიგრანტი ნიკოლოზ ჯანელიძე ჩავიდა, მან შესთავაზა შპულერს თავისი სამსახური ქართულის სწავლების საქმეში. უნივერსიტეტში ხელსაყრელი მომენტი არ გაუშვეს ხელიდან და ნიკოლოზ ჯანელიძეს მიეცა საშუალება, ქართული ენა ესწავლებინა მსურველთათვის. მის მოწაფეებს შორის ვინფრიდ ბოედერიც აღმოჩნდა, რომელმაც თავისი სიბეჯითის წყალობით უმალ მიიპყრო მასწავლებლის ყურადღება და მალე მოწაფე-მასწავლებელს შორის გულითადი სიახლოვე დამყარდა. ბოედერი ესწრებოდა ჯანელიძის ლექციებს დაახ-

ლოგიით 1967 წლიდან. იმისი კარგი ნიუნუ-ლის სახელმძღვანელოთი მეცადინეობ-და. ერთ-ერთ პირად წერილში ბოედერი აღნიშნავდა: „დასავლეთ ევროპის ქვეყნებ-ში მცხოვრებთ, კავკასიური ენების გრამა-ტიკათა უმრავლესობას, არა ძალიან მასწავლებლები. მე ბედმა გამიღიმა, ჰამბურგის უნივერსიტეტში გავიცანი ქართველი პროფესორი ნიკოლოზ ჯანგ-ლიძე, რომელიც ასწავლიდა ქართულს. იგი წარმოშობით სამეგრელოდან. მეგობრულ დახმარებისთვის, დიდი თანადგომა აღმო-მიჩინა. ჩემთვის საინტერესო კითხვებს პა-სუხი გასცა და ჩემს შემდგომ კვლევას მიმართულებაზე. შეიძლება ითქვას, დიდი ზეგავლენა მოახდინა". ნიკოლოზ ჯანგ-ლიძის დახმარებით ბოედერმა დაიწყო მუშაობა ქართული ზმნის ქცევის (ვერსი-ის) ბუნების შესასწავლად (ქცევის საკით-ხის დასმუნა მას შემდეგში პროფ. ალექსანდრე ღლონტი უხმარებია). პირველი სტატია კი „ქართული ზმნის ქცე-ვის შესახებ" 1969 წელს გამოქვეყნდა ჟურნალში „Folia Linguistica". იმხანად ბოედერი ლათინურ სინტაქსზე მუშაობდა, ქართული კი, ასე ვთქვათ, გვერდითი საგა-ნი იყო მისთვის. ქართულით ბოედერი ისე-რი იმიტომ დაინტერესდა, რომ სურვილი ჰქონდა, რომელიმე არაინდოევროპული ენა ღრმად შეესწავლა. ჩვეულებრივ სხვისმიერ-რიდ, ეს ენა ქართული გამოდგა - ახალი ქართული ენა. ამას ხელი შეუწყო, ცხა-დია, ნიკოლოზ ჯანგულიძესთან დაახლოე-ბამ.

შემდეგ ბოედერი ოლდენბურგის უნივერსიტეტში გადავიდა. დაწყებული საქმე არ მიუტოვებია და აქაც აგრძე-ლებდა ქართულის ღრმა შესწავლას, მის ლაბირინთებში გარკვევას. ოლდენბურგის უნივერსიტეტი ახალი დაარსებული იყო, სტუდენტები ცოტა ჰყავდა, სამეცნიეროდ დრო შედარებით მეტი ჰქონდა. ამიტომ საშუალება ჰქონდა ერთი სემესტრი სა-ქართველოში გაეტარებინა. 1974 წლის გაზაფხულზე ვინფრიდ ბოედერი პირვე-ლად ჩამოვიდა საქართველოში და სექტემბრამდე დარჩა. მისი პირველი მასწავლებლები იყვნენ: ძველ ქართულში პროფ. ივანე იმნაიშვილი, მეგრულში - პროფ. ტიტე გუდავა, სვანურში - პროფ. ალექსანდრე ონიანი. კონსულტაციებს უწევდნენ პროფესორები აკაკი შანიძე და ალექსანდრე ღლონტი. ერთხანს პროფ. ნა-თელა ქუთელიასთანაც მეცადინეობდა. სწორედ მაშინ მოახერხა პირველად სვა-ნეთი ერთი თვით (მესტიაში). ამის შემდეგ DFG-ის დახმარებით ვინფრიდ ბოედერი პრაქტიკულად ყოველ ორ წელი-წადში ერთხელ რამდენიმე კვირით ჩამო-დის საქართველოში, სადაც იგი ამ ხნის მანძილზე შინაური კაცად, სასურველ სტუმრად იქცა საქართველოს ყველა კუთ-ხეში, რომლებიც მან ფეხით შემოიარა, და, რამდენადაც მისთვის აღარ არსებობს ენობრივი ბარიერი (იგი შესანიშნავად ლაპა-რაკობს ქართულად), არსად გასჭირვებია გზის გაგნება. ასე მოიარა მან კახეთი, თუ-შეთი, სვანეთი, სამეგრელო, ქართლი, შავი ზღვის სანაპირო...

ვინფრიდ ბოედერს ქართულის შესა-ხებ არაერთი შრომა აქვს გამოქვეყნებული საქართველოსა და უცხოეთის სხვადასხვა ჟურნალებში. მათგან შეიძლება გამოვყოთ ზემოთ აღნიშნული სტატია ქართული ზმ-ნის ქცევის შესახებ (1969), ძველი ქართუ-ლი ანბანის ანალიზი (1975), „მაქვს" და „მყავს" ქართველურ ენებში (1980), ქართ-ველი ბერები ათონის მთაზე და ქართული სამწერლო ენის ისტორია (1983), „და"-ს ხმარების ზოგიერთი თავისებურება ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში (1983), ქართველური ენების წყობის შესახებ (1985), ქართული და მისი მონათესავე ენე-ბი ევროპის საზღვართან (1987), სვანურ ანდაზების სტრუქტურისა და ინტერპრეტაციისათვის (1991), შენიშვნები მრავლობითის - ეთ სუფიქსის შესახებ ძველ ქართულში (1992) და სხვ.

ამას გარდა, ვინფრიდ ბოედერი სისტემატურად ბეჭდავს ევროპულ და ამე-რიკულ ჟურნალებსა და კრებულებში რე-ცენზიებს საქართველოში გამოსული ქართველოლოგიური ლიტერატურის შესახებ. 80-იანი წლების „ბედი ქართლისა" ნო-მრებში მას ყოველწლიურად მიჰყავდა რუბრიკა „წიგნები საქართველოდან" (ქართველოლოგია).

ვინფრიდ ბოედერი ნაყოფიერ მთარგმნელობით მოღვაწეობასაც ეწევა. 1969 წელს მან ჰამბურგში გამოსცა გერ-მანული თარგმანი გეორგ კლიმოვის მო-ნოგრაფიისა „კავკასიური ენები" (რუსუ-ლიდან), ხოლო 1982 წელს გამოაქვეყნა გერმანული თარგმანი თამაზ გამყრელიძი-სა და გივი მაჭავარიანის მონოგრაფიისა „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართვე-ლურ ენებში".

ბოედერმა სხვა „ეგზოტიკური" ენით დიდი ამაგი დასდო აწ განსვენებული კოლეგის - იოჰან ბეხერტის - კავკასიო-ლოგიური შრომების თავმოყრისა და გამოქვეყნების საქმეს. მისი თაოსნობით გამოიცა ბეხერტისადმი მიძღვნილი კრე-ბული „Sprache in Raum und Zeit" ორ ტო-მად (1998).

ამჟამად ვინფრიდ ბოედერი მონაწ-ილეობს პროექტში „სახელური ჯგუფი მეზობელ ენებში (ქართულში, თურქულში, ქურთულში, სომხურში). ტიპოლოგიური გამოკვლევა".

წლების განმავლობაში ვინფრიდ ბოედერი ასწავლის ქართულ ენას დაინტერე-სებულ სტუდენტებსა და მეცნიერებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოედე-რის ორგანიზატორული ნიჭი. ცნობილმა გერმანელმა მკვლევარმა, თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორმა კარლ ჰორსტ შმიდტმა, საფუძველი ჩაუყა-რა სიმპოზიუმებს „კავკასიური ენობრივი პრობლემები". 1985 წლიდან მან 5 ასეთი შეკრება ჩაატარა. სიმპოზიუმებს ესწრე-ბიან ქართულ-კავკასიურ ენათა ამა თუ იმ პრობლემაზე მომუშავე მეცნიერები ევრო-პის სხვადასხვა ქვეყნიდან და, ცხადია, ქართველი მკვლევრებიც. მას შემდეგ, რაც პროფ. კარლ ჰორსტ შმიდტი პენსიაზე გა-ვიდა (1994), ამ საქმეს ვინფრიდ ბოედერი ჩაუდგა სათავეში. მისი თაოსნობით ეს სიმ-პოზიუმები ახლა მის ქალაქში, ოლდენ-ბურგში, ტარდება. VI კონფერენცია მიეძღვნა სვანურ პრობლემებს (1995), VII - ხევსურულს (1997), VIII - მეგრულ-ლა-ზურს (1999). მისი მეცადინეობით ყოველთვის სრულდება ამ სიმპოზიუმებზე რამდენიმე ქართველი მეცნიერის მიწვევა, რომლებსაც ის ქართული სტუმართმოყვა-რეობით თავს დასტრიალებს შინ თუ გა-რეთ. ოფიციალურად ამ შეკრებებს გერმა-ნიის სამეცნიერო კავშირი (DFG) აფინან-სებს, მაგრამ ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი ვინფრიდ ბოედერია, რომელიც, სხვათა შორის, მუდმივად იყო მონაწილე ამ თავყრილობებისა და ყოველთვის ჰქონდა მოხსენება ქართული ენის საჭირბოროტო საკითხებზე.

აქვე დავძენთ, რომ ვინფრიდ ბოედე-რი არის ევროპის კავკასიოლოგთა საზო-გადოების გამგეობის წევრი და ხაზინა-დარი, ნაყოფიერ მონაწილეობას იღებს მის სა-მეცნიერო-საორგანიზაციო მუშაობაში.

საჭიროდ მიგვაჩნია, გავაცნოთ ერთი დოკუმენტი, რომელიც 1995 წლის 1. ნოემბრის ვინფრიდ ბოედერის ინიციატი-ვით იქნა შედგენილი მორიგი ქართველოლოგიური სიმპოზი-

მას დრის ოლდენბურგში:

ოლდენბურგი, 19.XI.1995

საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს

საქართველოს მწერალთა კავშირს

პოლიგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს

ჩვენ, ქართველოლოგიური სემინარის მონაწილეები, ძალიან დაინტერესებული ვართ საქართველოში გამოცემული სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურით. სამწუხაროდ, ეს ლიტერატურა ჩვენთვის თითქმის მიუწვდომელია. არც ის ვიცით, რა გამოდის, სად და როგორ შეიძლება ამ ლიტერატურის შეძენა.



ვფიქრობთ, საჭიროა საინფორმაციო ბიულეტენის გამოცემა და მისი რეგულარულად დაგზავნა უცხოეთის ქართველოლოგიურ და კავკასიურ ცენტრებში. ამ საქმეს ალბათ სახელმწიფო ორგანოები ნაკლებ ხარჯებში.

პატივისცემით

ვინფრიდ ბოედერი, ოლდენბურგის უნივერსიტეტის პროფესორი

იოსტ გიპერტი, ფრანკფურტის უნივერსიტეტის პროფესორი

კარლ-ჰორსტ შმიდტი, ბონის უნივერსიტეტის პროფესორი

ჰეროლდ სტეფანსკი, ტრიერის უნივერსიტეტის პროფესორი

მაიკლ იობი, მარბურგის უნივერსიტეტის პროფესორი

ჰაინც ფენრიხი, იენის უნივერსიტეტის პროფესორი.

-პენსიაზე გასვლის შემდეგ (გერმანიაში 65 წლის ასაკს მიღწეული მუშაკი ვალდებულია პენსიაზე გავიდეს) მინდა განვახორციელო ჩემი ძველთაძველი ოცნება: დამეწერა ქართველურ ენათა შედარებითი სინტაქსი, რომლის მასალების შეკრება მე საქართველოში ჩემი პირველი ვიზიტის დროს, 1974 წელს, დავიწყე. საცხოვრებლად ოლდენბურგში დავრჩები, მას არ მოვაკლდები".

ვისაც ვინფრიდ ბოედერთან ახლო ურთიერთობა ჰქონია, არ შეიძლება არ მოიხიბლოს მისი პიროვნებით. მოკრძალებული, უაღრესად კორექტული, თბილი, საქმიანი, ერთი წუთის უქმად დაკარგვის უფლებას რომ არ აძლევს თავს, დაუზარელი მოგზაური. მას შემოვლილი აქვს თითქმის მთელი ევროპა. ოლინდე მთებში სიარული უყვარს და არა ქალაქების მტვრიან ქუჩებში ხეტიალი. სად არ დაუდგამს ფეხი თავისი განუყრელი ზურგჩანთით, ბრიტანეთის კუნძულებსა თუ ნორვეგიის მთებზე, საფრანგეთის ლაჟვარდოვან სანაპიროსა თუ ალპების კალთებზე...

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დატვირთულია საუნივერსიტეტო საქმეებით, ვინფრიდ ბოედერს ინტენსიური მიმოწერა აქვს თავის ქართველ კოლეგებთან. მისი წერილები პატარა მეცნიერული გამოკვლევებია. უამრავი კითხვა უჩნდება და სურს, რაც შეიძლება მალე მიიღოს ამომწურავი პასუხი მისთვის საინტერესო საკითხზე, კითხვები კი არ ილევა...

ვინფრიდ ბოედერის ხასიათის გასაცნობად, ქართველ ხალხზე მისი შეხედულების წარმოსადგენად თავის ნებას მიუცემს, მისი ერთი ალერნდელი წერილის ფრაგმენტი გავაცნოთ. წერილში არაფერს ვასწორებთ, ავტორის სტილს ვიცავთ, მაგრამ წინასწარ გვინდა გავაფრთხილოთ, რომ წერილი 25 წლის წინაა დაწერილი, როდესაც ვინფრიდ ბოედერი ის-ის იყო იწყებდა ქართულის სერიოზულ შესწავლას და პირველ ნაბიჯებს დგამდა ამ მიმართულებით. ამჟამად ის ჩვენსავით ლაპარაკობს ჩვენს მშობლიურ ენაზე და, თუ არა ოდნავ შესამჩნევი ეროვნული აქცენტი, ქართველისაგან ვერ გამოარჩევ.

-ვახტანგ, ძალიან კარგად მესმის, რომ ენაში ყოფნა მოგწყინდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვისაც მეგობრები ძალიან ბევრს ნიშნავს, ვიცი, რომ ნაცნობ-მეგობრები ქართველებისათვის სიცოცხლის გული არიან. მე მგონია, რომ ამ ფაქტმა ჩვენზე ყველაზე უფრო დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოში. მე განსხვავებები ერთმანეთზე არ მიყვარს, მაგრამ ეს და ყველაფერი, რაც ამასთან დაკავშირებულია, სტუმართმოყვარეობა და მისმარება ყველა შემთხვევაში, ეს, რამდენადაც კარგად არ ვიცნობ, როგორც იდეალი, რაღაც პატიოსანი ხასიათია, რომლისგანაც ბევრი ვისწავლეთ. ბოდიში ვიხდი ამ მრავალსიტყვაობის გამო, მაგრამ იქნებ გაინტერესებს შენი სამშობლოს უფრო ძლიერი შთაბეჭდილება უცხოელებზე"

ყოველგან,სადაც ვინფრიდ ბოედერი სამეცნიერო მივლინებით მიდის, მას თან ახლავს მისი სათნო მეუღლე, ქალბატონი დორისი, რომელიც აგრეთვე საქართველოს სიყვარულის ბაცილებით არის "დაავადებული" და ტოლს არ უდებს მეუღლეს ჩვენი ქვეყნისადმი ერთგულებისა და კეთილგანწყობის გამოხატვაში. ყველაზე კარგად ამას, ალბათ, მათთან ოლდენბურგში სტუმრად ნამყოფი ქართველები გრძნობენ.

-რა არის ჩემი ბედი? - რა თქმა უნდა - ქართული. რა მიყვარს ქართულ სუფრაზე?- ფხალეული, ლობიო (წითელი), სულგუნი, ნიგვზი, საცივი, წითელი ღვინო, ხოლო როცა სვანეთში ვარ - კუბდარი.

2 აპრილს ვინფრიდ ბოედერს 63 წელი შეუსრულდა. ვუსურვებთ ჩვენს ძვირფას მეგობარს წარმატებებს პირად ცხოვრებაში და სამეცნიერო ასპარეზზე საქართველოს და ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ.

**გურამ თოფურია**
**ვახტანგ იმნაიშვილი**
**6.III.2000**

# ზეთის კურთხევის საიდუმლოება

**ჩვენს შეკითხვებს უპასუხებს თბილისის სიონის ტაძრის დეკანოზი ზურაბ ანთაძე**



**- დიდ მარხვაში ეკლესიებში ზეთის კურთხევის საიდუმლოება აღესრულება, რომელიც ხალხში შვიდჯერ ზეთის ცხების სახელით არის ცნობილი.**

**მამა ზურაბ, რა არის, რას ნიშნავს ზეთის კურთხევა?**

- ზეთის კურთხევა არის ერთ-ერთი 7 საიდუმლოთაგანი, რომელიც სრულდება მართლმადიდებელ ეკლესიაში. ზეთის კურთხევის დროს იკითხება 7 სახარება, 7 სამოციქულო, 7 დიდი ლიტანიაგრეთვე სხვა ლოცვები და 7-ჯერ აცხებენ ზეთს. ზეთის კურთხევის საიდუმლოს დროს ადამიანი იკურნება სხვადასხვა სულიერი და ფიზიკური ავადმყოფობებისაგან, ასევე ეპატიება ის წვრილმანი ცოდვები, რომლებიც ვერახსოვრის გაიხსენებს. ზოგიერთი ფიქრობს, რომ, თუ ზეთის კურთხევაში მიიღებს მონაწილეობას, ის ცოდვები, რაც აღსარებაში არ უთქვამს, მოეტევება, რაც არ არის სწორი. თუ ადამიანს ზეთის კურთხევის საიდუმლოს შემდეგ გაახსენდება რომელიმე ცოდვა, რომელიც დავიწყებული ჰქონდა და აღსარებაში არ უთქვამს, აუცილებლად უნდა მოინანიოს მღვდელთან აღსარების დროს.

**- რატომ სრულდება ზეთის კურთხევა დიდ მარხვაში?**

- ზეთის კურთხევის შესრულების ორი წესი არსებობს. პირველი გსკ ერთ ავადმყოფ ადამიანზე სრულდება, მეორე კი, საერთო - მრევლის ყველა წევრზე ერთად. ამ წესების შესრულებაში არის განსხვავება. პირველ შემთხვევაში, როცა ზეთის კურთხევა მხოლოდ ერთ ავადმყოფზე სრულდება, ყოველი 7 სახარებისა და ლოცვის წაკითხვის შემდეგ მღვდელი ავადმყოფს ზეთს აცხებს - შუბლზე, თვალებთან, ნესტოებთან, ყურებთან, პირთან - ნიკაპზე, მკერდზე, ხელებზე. ერთ ადამიანზე ეს გსკ სრულდება ნებისმიერ დროს, როცა ავადმყოფი განკურნებას საჭიროებს. მეორე, საერთო წესი სრულდება დიდ მარხვაში. ამ დროს მრევლის თითქმის ყველა წევრი იკრიბება ტაძარში, იკითხება ზეთის კურთხევის ლოცვები, შვიდივე სამოციქულო, სახარება, ლოცვა და სრულად რომ წაიკითხება ყველა ლოცვა, ბოლოს იწყება ზეთის ცხება. თუ ტაძარში 7 მღვდელია, მაშინ 7 მღვდელი დგება ერთ რიგში და მრევლი ერთი ნაკადით იცხებს ზეთს. პირველი მღვდელი აცხებს შუბლზე, მეორე- თვალებთან, მესამე - ნესტოებთან და ასე შემდეგ.

კონსტანტინოპოლის წმიდა სოფიის ტაძარში საერთო ზეთის კურთხევა დიდ მარხვაში ასე სრულდებოდა: იქ იკრიბებოდა 10 ათასობით ადამიანი, თავიდან ბოლომდე იკითხებოდა ყველა ლოცვა, რაც არის ზეთის კურთხევის საიდუმლოებაში და მღვდლები აცხებდნენ ზეთს ერთხელ, მხოლოდ შუბლზე.

**- მამა ზურაბ, წელიწადში რამდენჯერ სრულდება ზეთის კურთხევა?**

- ზეთის კურთხევა სრულდება წელიწადში ერთხელ მრევლის ყველა წევრზე. მაგრამ თუ ადამიანი არის ავად, შეიძლება სხვა დროსაც.

**- ვინ შეიძლება დაესწროს ზეთის კურთხევის საიდუმლოებას?**

- ზეთის კურთხევის საიდუმლოებას ესწრება მართლმადიდებელი ქრისტიანი, რომელიც არის ეკლესიური, ანუ მარხულობს, ლოცულობს, აღსარებას ამბობს, ეზიარება. თუ ადამიანს არასდროს მოუნანიებია ცოდვები, ზეთის კურთხევის საიდუმლოება მას განკურნებაში ვერ დაეხმარება და შეიძლება სასჯელადაც კი ექცეს.

**- ერთ ეკლესიაში ზეთის ცხების შემდეგ თუ შეიძლება სხვა ეკლესიაშიც იცხონ ზეთი?**

- შეიძლება, ეს აკრძალული არ არის.

**- შეიძლება თუ არა არაეკლესიურმა, მაგრამ ავადმყოფმა იცხოს ზეთი?**

- თუ ადამიანი მონათლულია, ჯერ უნდა თქვას აღსარება, მოინანიოს ცოდვები, მერე იცხოს ზეთი შვიდჯერ და ზეთის კურთხევის საიდუმლოს შესრულების შემდეგ, კარგი იქნება პირდაპირ ზიარება.

**- მამა ზურაბ, ბავშვებისათვის შეიძლება თუ არა ზეთის ცხება?**

- ტრადიციისამებრ, ტაძარში საერთო წესის შესრულების დროს მრევლთან ერთად ბავშვებიც იცხებენ ზეთს 7 წლის ასაკიდან.

**- შეიძლება თუ არა ზეთის ცლება შინ დარჩენილი ავადმყოფებისათვის, ან შემდეგში, ცუდად ყოფნის დროს გამოსაყენებლად?**

- არ შეიძლება, რადგან ზეთის კურთხევის საიდუმლოს შესრულების დროს ზეთზე გადმოდის მადლი სულიწმიდისა და ამ ზეთის ცხება შეუძლია მხოლოდ ღვთისმსახურს. თუ ადამიანი ავად არის და ვერ მოდის ეკლესიაში, მაშინ ღვთისმსახური მასთან მივა სახლში და შეუსრულებს ზეთის კურთხევის საიდუმლოს, ხოლო თუკი ადამიანი კარგად არის, უნდა მოვიდეს ეკლესიაში.

**- როგორ მოვიქცეთ ზეთის კურთხევის საიდუმლოს შესრულების შემდეგ?**

- ზეთის კურთხევის საიდუმლოებაში მონაწილეობის შემდეგ ხელების დაბანა იმ დღეს ჩვეულებრივად შეიძლება, ხოლო მთლიანად დაბანა უმჯობესია მეორე დღიდან.

**- მამა ზურაბ, დიდი მადლობა საინტერესო საუბრისათვის.**



რუბრიკას უძღვება:
ნინო
კვანტალიანი

მკითხველს ვთავაზობთ ილია აბულაძის წერილს, რომლის ადრესატია სიმონ ჯანაშია, ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის (ენიმკი) დირექტორი.

წერილიდან კარგად ჩანს ბატონი ილიას წუხილი, გამოწვეული სამხრეთ საქართველოში ჩვენი კულტურული საგანძურის სავალალო მდგომარეობით.

ვფიქრობთ, მასალა კომენტარს არ საჭიროებს.

რუსუდან ჯანაშია

# ილია აბულაძის უცნობი წერილი

**ენიმკის დირექტორს პროფ. ს. ჯანაშიას**

მიმდინარე თვის 3-10-მდის ვიმოგზაურე ახალციხის მიდამოებში (აწყურიდან-ჭვინტამდის) ძეგლების შესასწავლად. მაინტერესებდა ქურთდე წნისის წყალზე მდებარე ნამონასტრალის დათვალიერება. ვახუშტის ცნობით ეს მონასტერი კარგადაა დაცული. მხოლოდ „უქმია", ახლა კი იგი, რომელიც ქართის მონასტრად იწოდება, მეტად სავალალო მდგომარეობაშია. ნაგებობა, რომელიც XII-XIII სს-ების ძეგლად გამოიყურება, თითქმის მთლიანად დაშლილია, ფრესკები გადასულია, გუმბათი ჩაწოლილი, კედლებზე ქვები შემოცლილია და სხვ... აღარსადაა საალმშენებლო წარწერიანი ქვა, რომელიც ამ ორიოდე წლის უკან, ძველს კიდევ ჰქონია.

ასეთს მდგომარეობაშია სხვა ძეგლებიც. ცნობილი ბიეთის ეკლესია, რომელიც აღწერილი აქვს ექ. თაყაიშვილს და შეცდომით ვახუშტის მიერ წნისის სიმ[?] მოხსენებული ეკლესია ჰგონია (ე.ი. ქუმისა), აგრეთვე აღარაა იმ მდგომარეობაში, რომელშიაც იგი მკვლევარს დახვედრია. ის თითქმის მიწასთანაა გასწორებული. მარტო მოუვლელობა აქ არაფერ შუაშია. ადამიანის ხელია, რომ აწარმებს ამ ძეგლების მოსპობას, ანგრევენ და ზოგი ამ ნანგრევი ქვისაგან სახლს იშენებს, ზოგი - ბოსელს, და ზოგი კიდევ რას. ადგილობრივი საბჭოები არამც თუ დაცვისათვის ზრუნავენ, არამედ თვით უწყობენ ხელს მათ აღ[მო]ფხვრას. ასე მაგ., ხოველ კლდის საბჭოს შენობის კიბეს საფეხურად ახეთი ნანგრევებიდან მოტანილი ორნამენტიანი ქვა აქვს გამოყენებული. შემოვლილი უბანი მეტად მდიდარია ძეგლებით. ეკლესიებს გარდა აქ უხვადაა ე.წ. „მიდარები", გვირაბები, ნამარხული ჭურები და სხ... ნიადაგისა და მიწის სამუშაოების დროს ახალ-ახალი ძეგლები ჩნდება (მაგ. არხები), მაგრამ არავის ამის შესახებ ცნობას არ აწვდიან, არც კი ვინმე ითხოვს ასეთს. ძეგლთა დაცვის რწმუნებულის ხელიც არსად ჩანს. საცაა მალე რკინის გზის გაყვანას დაიწყებენ. ვინ იცის, რა არ აღმოჩნდება. თუ რაიმე ზომა არ იქნება მიღებული, ჩვენ თვალწინ ყველაფერი გაუჩინარდება.

გაცნობებთ რა ხსენებულს, გთხოვთ, აღძრათ სათანადო შუამდგომლობა პარტიისა და საბჭოთა ზემდგომი ორგანოების წინაშე, რათა მათი დავალებით ადგილზე რაისაბჭოსა და რაიკომის საშუალებით მიღებულ იქნეს ზომები როგორც არსებული ძეგლების დაცვისა და დაზოგვისათვის, ისე ახლად აღმოჩენილის მოვლა-პატრონობისათვის. ამასთანავე აუცილებელია, მიეთითოს ძეგლთა დაცვის კომიტეტს, რომ გააძლიეროს მუშაობა ძეგლთა აღნუსხვისა და შესწავლის დარგში ახალციხის სამხარეთმცოდნეო მუზეუმთან ერთად.

ილ. აბულაძე

*1940. 20-VIII.*

*თბილისი.*

**ახალი წიგნი**

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკაკი წერეთლის კაბინეტმა გამოსცა „აკაკის კრებული, I". ეს არის აკაკი წერეთლის მუდმივი, სემინარის შრომები. მთავარი რედაქტორი – პროფ. იუზა ევგენიძე.



განვაგრძობთ ბეჭდვას საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით გადაცემული სიუჟეტების ტექსტისა, რომლის ავტორი არის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი ნინო ჯორბენაძე; კონსულტანტი - ამავე განყოფილების ხელმძღვანელი, დოც. შუქია აფრიდონიძე.




### დღეს ცივა: მას სცივა...

ზმნას შეიძლება წინ უძღოდეს ჰ ან ს თავსართი, რომელიც ერთ-ერთ, კერძოდ, ირიბ ობიექტურ პირზე მიუთითებს. ხანდახან აღნიშნულ თავსართებს საჭიროებისამებრ არ ხმარობენ, რის გამოც გამოსახატავი აზრი შეიძლება დამახინჯდეს, გაბუნდოვანდეს; გარდა ამისა, ტრადიციული, დამკვიდრებული ფორმების არასწორით შეცვლა გაუმართლებელია.

მაგ.: ფორმები **ცივა, ცხელა** ამინდზე მიუთითებენ, მაგრამ თუ გვინდა ვთქვათ, რომ ამა თუ იმ პირს აქვს სიცხისა თუ სიცივის შეგრძნება, ზმნას **ს** თავსართი უნდა დავურთოთ: მას **სცხელა/ან სცივა**. ამ ფორმების **ს** თავსართის გარეშე ხმარება აღნიშნულ კონტექსტში გაუმართლებელია (შეცდომაა: მას ცივა/ან ცხელა).

იგივე შეიძლება ითქვას ზოგიერთ სხვა ფორმაზეც. მაგ.: ქალი წერილს **წერს**, მაგრამ მეგობარი მეგობარს წერილს **სწერს**; ფოთოლი ხიდან **ცვივა**, მაგრამ ხეს ფოთოლი **სცვივა**; ქალი პურს **ჭრის**, მაგრამ კაცი ხეს ტოტს **სჭრის**;

ზოგიერთ ფორმაში აღნიშნულ თავსართებს პირთა რაოდენობის განმასხვავებელი ფუნქცია არ აქვს, მაგრამ მათი ხმარება აუცილებელია და ტრადიციით განმტკიცებული ეს ფორმებია: **მოსწონს, სწყურია, სძინავს, ჰქვია, ჰქონდა, სჭირდეს**;

როდის არის საჭირო ამ თავსართების ხმარება? ამის გარკვევა ძნელი არ არის. აღნიშნული პრეფიქსები მხოლოდ მაშინ გამოიყენება, თუ ზმნას ეწყობა სახელი, რომელიც მუდამ მიცემით ბრუნვაში დგას; ამასთანავე **ს** გამოიყენება 9 თანხმოვნის (დ,თ,ტ,ძ,ც,წ,ჯ,ჩ,ჭ), ხოლო ჰ კი 7 (ბ,გ,პ,ფ,გ,ქ,კ) თანხმოვნის წინ.

ე.ი. სწორი ფორმებია: **მას სცივა, სცხელა, სწყურია, სძინავს** და ა.შ.

### მობრძანდით, ინებეთ...

როდესაც გვსურს, რომ პატივისცემა გამოვხატოთ II პირისადმი, შეიძლება გამოვიყენოთ თავაზიანობის ესა თუ ის ფორმა. თავაზიანი მეტყველების ერთ-ერთი ნიმუშია თქვენობით მიმართვა - როდესაც ერთ კონკრეტულ პირს მრავლობითი რიცხვის ფორმით მივმართავთ - **თქვენთან** (და არა შენთან) სტუმრები არიან; ეს **თქვენ** გაგიკეთებიათ (და არა გაგიკეთებია);

# სწორია

გირჩევთ, ეს წიგნი შეიძინოთ (და არა გირჩევ არ შეიძინო).

გარდა ამისა, შეიძლება ერთი და იგივე ცნება სხვადასხვა სიტყვით გამოიხატოს, რომელთაგან ერთ-ერთი თავაზიანი მეტყველების ნიმუში იქნება.

მაგ. ვამბობთ - **თქვენ** ბრძანდებით (და არა ხართ)

თქვენ **მობრძანდით** (და არა მოხვედით)

**მიირთვით** (და არა ჭამეთ)

**ინებეთ** (და არა აიღეთ)

ასევე თავაზიანი მეტყველების ნიმუშია:

ნამცხვარს **გეახლით** (და არა ვჭამე)

მე **გახლავართ** (და არა ვარ)

ხანდახან რამდენიმე ფორმა ერთმანეთში ირევა და შეცდომით ამბობენ: მე ვბრძანდები ეს და ეს პირი ან ნამცხვარი უკვე მივირთვი.

ეს ფორმები კი II პირის მიმართ უნდა გამოვიყენოთ:

**თქვენ ბრძანდებით** ესა და ეს პირი ან **მიირთვით** ნამცხვარი

ხოლო, როდესაც საკუთარ თავზე ვსაუბრობთ, უნდა გამოვიყენოთ ფორმები: მე გახლავართ ეს და ეს პირი

ნამცხვარს უკვე **გეახლით**

ასევე, მე თქვენ **გეახლებით/მოგახსენეთ/მოგართვით** და ა.შ.

### ეკონომიკური და ეკონომიური

ბოლოდროინდელი ტენდენციაა უცხო ენებიდან შემოსული სიტყვების გადმოტანა ქართულში. აღვნიშნავთ, რომ თუ სახელი **ია**-ზე ბოლოვდება, **-ურ** სუფიქსის დართვისას რომელიც ზედსართავ სახელებს აწარმოებს ა ხმოვანი იკვეცება (ქიმია-ქიმიური; ისტორია-ისტორიული); ასევე .... ა ხმოვანი იკა-ზე დაბოლოებულ სახელებშიც. მაგრამ კ თანხმოვანი კი რჩება (ლოგიკა - **ლოგიკური**, ესთეტიკა - **ესთეტიკური**, პოლიტიკა - **პოლიტიკურ**. შეცდომაა ფორმები კ თანხმოვნის გარეშე - ლოგიური, პოლიტიური, ესთეტიური და სხვები.

მაგრამ გვაქვს შემთხვევა, როდესაც ორივე ვარიანტი **იურ-/იკურ** დაბოლოებიანი ფორმები მართებულია. ასეთი ფორმებია **ეკონომიკური** და **ეკონომიური**. ეს კი იმით არის გამოწვეული, რომ თითოეულს საკუთარი ფორმა აქვს ამოსავლად: ეკონომიკურს - ეკონომიკა; ეკონომიურს კი - ეკონომია.

ამასთან, **ეკონომიკა** აღნიშნავს მეურნეობას, საწარმოო ურთიერთობათა ერთობლიობას; ხოლო **ეკონომია** კი - ყაირათიანობას, ფულის, თუ სხვა რამის აუცილებელ საჭიროებისამებრ მოხმარებას.

ფორმები ეკონომიკური და ეკონომიური ხშირად ირევა ერთმანეთში და უფრო ხშირად ეკონომიურს ხმარობენ იქ, სადაც ეკონომიკური უნდა გამოიყენონ. ამბობენ: ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური ვითარება, ეკონომიური განვითარება. ამ შემთხვევებში კი სწორი ფორმები იქნებოდა:

ქვეყნის **სოციალურ-ეკონომიკური** ვითარება, **ეკონომიკური** ვითარება.

მაგრამ, ისინი ფულს **ეკონომიურად** (ანუ ყაირათიანად) ხარჯავენ; დროის **ეკონომიის** მიზნით სწრაფად საუბრობდა და ა.შ.

გიორგი ლეონიძე უპირველესად პოეტი იყო. მაგრამ ცხოვრების ბოლო წლებში მან შექმნა თავისი განუმეორებელი „ნატვრის ხე". მოთხრობათა ციკლი, რომელიც თამამად შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი საუკუნის ერთ-ერთ უპირველეს მხატვრულ ქმნილებად.

ეს წიგნი მწერლის ყრმობისდროინდელი მოგონებებია, „მაშინდელი გარეუბნელი და ღარიბული ქართული სოფლისა".

- რაც ვერ ვთქვი პოეზიაში, ის მინდოდა მეთქვა ამ წიგნით, - უთქვამს პოეტს. სიცოცხლის კი ეგონა, მართლაც ჯერ აქამდე გულში, - იგონებს მწერლის ქალიშვილი თინა ლეონიძე. - წინაშე ჩემ თვალწინ იქმნებოდა ეს მოთხრობები და მამას ღიმილი არ აკლდებოდა თვალებში, დიდი გრძნობითა და სიყვარულით წერდა.

მოთხრობებში ასახული ამბები მწერლის მშობლიური სოფლის - პატარძეულის „ჭალა ნიგოზიანში", „გათამაშება" და მწერლის „ღაღ დარჩენილ ბავშვობის" „ლომისობა", რომლის მონაწილეობასაც ასე ლამაზად ბოლო წლებში:

„სად გახსოვს, ჩემო ახალგაზრდობავ, დაუდევრობავ, ზღაპარ, ჟუჟუნავ"...

„ლექსიც ისეა არის ჩემი მელანი მისხლით, იქიდან გულღიები ჩემი სიმღერის ხმები", - წერდა გიორგი ლეონიძე და წარმოსახვით უბრუნდება თავის პირველ მასწავლებლებს, დიდი ხნის დამწყებებს, „შველი ჯადოთ დაწრეტილებს", რომლებიც ლექ-ლექს აწვრთნიდნენ, „სულს არ ასვენებდნენ" და მთაც ლექსებად ეზრდებოდა... სწორედ ამიტომ, ბავშვობის სურათი სიცოცხლე - „ნატვრის ხე" - პირველყოფილი ლექსების გამოძახილი; ბავშვობაში შეტანილი მოთხრობებია იმედის გამოხატულება.

მწერალი თავის უბრალო თანასოფლელებზე მოგვითხრობს, მათ სიკეთის თავგანწირულ სიმშვიდეს, რომ მკითხველიც აზიარის გრძნობისმიერ სამყაროს, იქ ამის ასახვა არა მარტო ცხოველმყოფელი შინაარსით, არამედ ენობრივი ფორმებითაც.

...რაცა მიყვა პრიალს შეხვდება, პოეზიაა რჩება...

...შენი მოთხრობების წიგნი ამის საუკეთესო მაგალითია", - სწერდა ბორის პასტერნაკი გიორგი ლეონიძეს.

გიორგი ლეონიძის პროზის ენა, მართლაც, პოეტურია. უპირველესად იგი რიტმულია. ზოგჯერ - გარითმულიც. არაიშვიათია ამგვარი ფრაზები: „წვიმის წვეთები ცრემლებივით ცვიოდა", „ცეკვალა ქმუნვილობა, სიმძიმილობა"... „გადაჰქონდა სიცრუე, გადაჰქონდა ბუხარი"... მაგრამ, რაც მთავარია, გიორგი ლეონიძე მხატვრული სახეების მოაზროვნე მწერალია, რაც თავის დროზე შენიშნა კორნელი კეკელიძემ: „ისე მოგვხიბლავს ჩვენი კალმისხელიანი ორიენტალი, საწნახლის ხმაურდარის შხრიალი, ჩვენი ბოსტნის მწვანილების ფშვინვიერება... ღილის ხსოვნა სიმღერაში ფუტკრის ზუზუნი..." ამ ვიტაგზური პლასტიკური სახეების - „მზეკუდლიანი ხატებისა" და „სმენით" ფერწერების გვერდით ხშირად ახალ სახეებს მოიძიებს გიორგი ლეონიძე. ესაა სურნელისა და გემოს შეგრძნებები, რომლებიც ხშირად განუყოფელია ფერწერისაგან: „ვიდრერში ნაგრილი ვაშლი და კომში სამი სურნელებას გამოსცემდნენ", „ქოთანში თონიდან ამოყვანილი პურის სუნი ტრიალებდა"... „ჩვენს ეზოში ვერ გაივლიდი, ისე იყო მომთბარული ვარდისა, ზამბახისა და იასამნის სურნელი, დაბადაგუბული ცოცხლები, გადათელილი აკაციები... ზედ ფშატის ყვავილის დამათრობელი სურნელი რომ დაურთავდა"... „რეჰანისა და კამის სურნელი მოდიოდა დარწყული ბოსტნიდან"...

## ელენე კოშორიძე

# ენა მდიდარი და მშობლიური

გრიგოლ კიკნაძე: „ვაჟას შემდეგ რაც გაცხოველებული იქნა მხედველობის შეგრძნებაზე აღმოცენებული სახეთა მხატვრული დირებულება, ერთი ნაბიჯის გადადგმაღა იყო საჭირო, რათა ამავე მიზნისათვის სხვა შეგრძნებაც ყოფილიყო გამოყენებული... ყველაზე უფრო მკაფიოდ ამ ნაბიჯის მნიშვნელობა გამოხატულია გიორგი ლეონიძის შემოქმედებაში". გ. ლეონიძემ შექმნა „არომატული" მხატვრული სახეები შექმნა ამ მოძიებული მიმართულების გზით, რომლებიც ფერისა და სუნის შეგრძნებათა წიაღში მოიპოვება" (გ. კიკნაძე).

ეს ის მხატვრული სახეებია, პატარძეულის „ლურჯადარდაბი იქმნა" და „ვერცხლისფერი თორმა", რომელიც „ვრმიდოს წერხემა" და „ბარჯღლია პოეტურმა სასახლის", ასე გულგრილად რომ დააჩნდა მას - პოეზია და შემოქმედება. ნიჭითა და წარმოსახვით მოცემულ ვრცელ გულის სამყაროს გადაუშლია გულში მაშინდელი ნახნავი და გაჩეხილი ქართული სოფლის. სწორედ ბავშვობისდროინდელი „მზეკუდლიანი ხატებია"; „ვარსკვლავთა ვერცხლის ფესვებიდან, „თორის ლაჟვარდოვანი ნავსადგურები, მისი სიტყვიერი... ასეთ ბავშვობისდროინდელ „სიტყვია"

გადის წლები და კვლავ ახალი მხატვრული სახეები ვითარდება გიორგი ლეონიძის შემოქმედებაში. ესაა „გრძნობადი" თუ „შეგრძნებითი ხატები" (ასე უწოდეთ პირობით), შინაგან განცდებს რომ გამოხატავენ: „გულზე ეფინებოდა სიმხურვალე იდგა ფერებიდან"... „პირველხატება გულდათოლილები ვგრძნობდი"... „ცივცივებს გულში ცხრა თოხი იწვოდა"...

ეს „მხატვრული ხატები" მომხიბვლელი გრძნობითა და განცდითაა დატვირთული. შენიშნულია: „არავითარი მწერალი არ უნდა ყოფილიყო მისი „წინამძღვარი" (რ. თაბუკაშვილი). ამის დასტურია გიორგი ლეონიძის სიტყვიც („წყნეტარდება", „პაპიშვილებულობდა", „მთვარისუფრო"...), შედარებიც („მარმარილოს ელვაქარი", „ლომაური თვალი", „თოვლივით ქარიშხალი"... და ფრაზაც („ბედის, მოპარული გულის ფერებით აღვსებული...") მართლაც, მწერალი ქარში ეძებდა, „სიცოცხლე" აღწერს მოვლენებსა და განცდებს, სახეებსა და პერსონაჟებს. „მან არ იცის გრძნობის „მიზიდვა", თავშეკავება, იგი არასოდეს არ ეძებს ზღვარს მკვლელი მიზნის მიმდინარეობის" (გ. მარგველაშვილი). ამიტომ მისი ფრაზა - „ხმოვანებით"

და „მაძღარი" - მდიდარია სინონიმებით. ამით აიხსნება, რომ თხრობაში, წყვეტილობრივ, ჭარბობს შერწყმული ქვედადება: უფრო ხშირად - შემასმენლებით („გადაგვარჩენდა რამდენიმეს და გვშობლობდა, გვწვრთიდა, გვრიგებდა"...). შემასმენლის სახელადი ნაწილით, რომლებიც უმეტესად ზედსართავებითა და სახელზმნებითაა წარმოდგენილი („შესახედავადაც ძნელი იყო: დაშმაგებული, შეშლილი, ნაღრუბლეული, თითქოს წყალდასხმულ-ნაცრისფერი"), ან განსაზღვრებით („მწყემსი, გულქართული, თვალებიდან გამომცინარი ნირიკი აწყნარებდა მეზობლებს"...). ხოლო საზღვრულ სიტყვას, გარდა რამდენიმე მსაზღვრელისა, ხშირად ახლავს განკერძოებული განსაზღვრებაც. დამახასიათებელია ასეთი ფრაზები (წინადადება შერწყმულია შემასმენლების მიხედვით): „თვალუწვდენელი ქარიშხალი მთებზე ქროდა, ქროდა, მიწყივ ზრიალებდა, ხრიალებდა, ღვრიალებდა და მთის ხეებს ნაფოთებდა, ორწოხებიდან ახვეტილ ხავსიან თოვლს ზედ აყრიდა ღვარცოფს".

აშკარაა, რომ ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადებებით თხრობა უფრო დინამიკურია, რადგან ფრაზა მდიდარია მსგავსი სტრუქტურის ხმაბაძვითი სიტყვებით („ზრიალებდა, ხრიალებდა, ღვრიალებდა..." (ე.ი. შინაგანი რითმითაც; ხაზგასმულად წარმოდგენილ საგანგებოდ შერჩეულ ლექსიკაში ფრაზის დინამიკურობას თუ ქმნის ალიტერაცია და ასონანსიც განაპირობებს.

უფრო უნდა ითქვას განსაზღვრებებით შერწყმულ წინადადებებზეც, რომლებიც განკერძოებული განსაზღვრებაც ახლავს: „ასე შერთეს მარიკას უნდიძე, უნდი, უსიტყვარული ქმარი. შაქე - მლაშე, ზეიადი, ყიმრალი კაცი, მკლიხვერი". სადაც ავტორი პერსონაჟს ასე ხასიათ (მეტაფორული ეპითეტებით!) უხატავს ფერსა და გემოსაც კი (შაქე - მლაშე... ყიმრალი, მკლიხვერი), ამასთან, ფრაზა მდიდარია შინაგანი რითმითაც, რაც ერთ შემთხვევაში ნარნარა ბგერებით სიტკბოებაა (მლაშე, ყიმრალი, მკლიხვერი) სხვა შემთხვევაში უფრო კი ენიჭება (უნდიძე, უნდი, უსიტყვარული).

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სახის წინადადებაში ნართული განკერძოებული განსაზღვრება, როგორც წესი, ხაზს უსვამს რაღაც დეტალს (ამ შემთხვევაში შეთეს უსიამოვნო გარეგნობას და ბუნებას - მლაშე, ზეიადი, ყიმრალი კაცი, მკლიხვერი) და ამტკიცებს. მისი სემანტიკური წონა გაცილებით დიდია, ვიდრე წყვეტილობრივი განსაზღვრებისა. ამასთან, უფრო ამოკლებს წინადადებასაც, რადგანაც, ფაქტიურად, განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების ბადალია.

სხვა სახის შერწყმულ წინადადებაში (მაგალითად, დამატებების მიხედვით



შერწყმულში) ერთნაირი გვერდი უმეტესად სინონიმურია და, წყვეტილობრივ, პერიფრაზითაა წარმოდგენილი, რითაც ხაზგასმულია საგნის ან მოვლენის ძირითადი დამახასიათებელი თვისება. მაგალითად: „ვერ იტანდა ზარმაცს, მცონარეს, უსაქმურს", „არიგებდა წყლისწყვეტიას, დამტვერს, დინდლობიანს".

სინონიმებით მდიდარი ლექსიკის გვერდით გ. ლეონიძის სტილისათვის დამახასიათებელია სინონიმური სინტაქსური წყობები, მათი ხშირებაც აზრის გამძაფრების ემსახურება: „სძულდა პირუტყვშობა, უბირული ქართული..." „ქაჩმერის ასეთი ფერი ლაპარაკი არც ფეხსნობაც უყვარდა"... „უფრო კი დამნაფრთა, ღვრიტა დაითვა"... „გამინდა რკალი ახალი მთვარისა, ვერცხლის ლამბა"... ასეთ სინტაქსურ წყობებს ხშირად შეესაბამება ხარისხის ფორმები, რომლებიც ნაწარმოებია თვით არსებითი სახელისგანაც კი: „ბაკრი გამჭვირვალე, ცა ლურჯად ჩამდნარი, უცოდველი"... მაგრამ: „სწორუპოვარი თამადა იყო უტოლემბაშესი"...

ზოგჯერ სიტყვები არაა სინონიმური, მაგრამ აზრის „სისავსე" საგნის ან მოვლენის ყოველმხრივი დახასიათებით მიიღწევა. მაგალითად: „ჩიკოტელა უსალმო, ყომრალი, ცალღრუბლეული კაცი იყო, გულაკაცი, მშვაობარი, თითქოს ქვევრის ტვირთი მისთვის აუკიდნიათო. ავდრიან დღეს მოუგავდა თავპირი, სველიანი იყო ციხის ნაშალივით", სადაც მდიდარსა და ექსპრესიულ ლექსიკას სახიერს ხდის მოულოდნელი პოეტური შედარებები („ავდრიან დღეს მოუგავდა თავ-პირი", „სველიანი იყო ციხის ნაშალივით") ლექსიკის ექსპრესიულობის გამაძლიერებელი თუ შემავსებელი მხატვრული შედარებები გიორგი ლეონიძის პროზაში სხვაც ბევრია: „სუფრის ხმაურობა ხვადების გრიალსა ჰგავდა", „ყორნის რქასავით დაეტაკა..." „სტუმრის ქარივით ეცემოდა"... „ავაზასავით შემოვარდნილი ქარიშხალი" და სხვ.

გიორგი ლეონიძის თხრობის სტილი მეტაფორულია. იშვიათია პასაჟი ანდაზებისა და ხატოვანი სიტყვების გარეშე. პერსონაჟთა ენა, ისევე როგორც ავტორისეული მეტყველება ანდაზებითა და იდიომური გამოთქმებითაა გაჯერებული. ცნობილი იდიომების გვერდით: „...ცას ხომ არ გამოვეკერებით", „...ფეხქვეშ მიწა გამოეცალა...", „...გაჭირვების ყუაზე მიმდგარი..." „ბრეს გვადენდა"... - გვხვდება ნაკლებ ცნობილი ხატოვანი თქმები: „სხვისი ნიორკია, სხვისი ცხვირის მჭომელი"... „მარილი არ აგიტირდა აქამდე?", „სიღარიბის ბურტყლი ასდიოდა..."

ასევე უხვადაა თხრობაში მომობრუნებული ანდაზებიც („დღეის ხსენსა რაც ნაპყვება, ხვალს ის ამოჰკვებაო", „კარგი ქვა კედლიდან არ გადმოვარდებაო", „სიბერე ლომსაც მოერევაო", „წყრის წყვრზე დაბადებულს წყალზე სიკვდილი ურჩევნია"... „მაღლით წერო მიფრინავდა, ქვეშ შამვერებს სილიდნენი..."), რაც ერთ-ერთი ძლიერი საშუალებაა ენის ექსპრესიულობის გასაძლიერებლად და, როგორც ცნობილია, მწერლის მხატვრული ნაწარმოების ენის სასაუბრო მეტყველების იერს ანიჭებს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



არნოლდ ჩიქობავა



აკაკი შანიძე სერგი ჯიქია



ოთარ ურიდია ივანე ქავთარაძე



ბესარიონ ჯორბენაძე



ივანე ქავთარაძე გრიგოლ იმნაიშვილი



სოლომონ ხუციშვილი გიორგი როგავა ანტონ მიხირია



კორნელი დანელია    აკაკი ურუშაძე



ვარლამ თოფურია



არამ მარტიროსოვი, ანტონ კიზირია, გრიგოლ იმნაიშვილი, თინათინ გონიაშვილი, თინათინ შარაშენიძე



ალექსანდრე გვენცაძე



ლეილა ენუქიძე    ცირა ყალაძე



რაფიელ შაველაშვილი, მიხეილ ალავიძე, მაქსიმე ქალდანი, არამ მარტიროსოვი

# წიგნით გაგრძელებული სიცოცხლე

ყოველი ახალი წიგნის გამოსვლა ახალი სამყაროა მკითხველისათვის. მაგრამ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს შეიძლება ახლდეს განსაკუთრებული გამორჩეულობა. ბ-ნი კორნელი დანელიას წიგნი „ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან" (I ტ.) სწორედ ასეთ გამორჩეულ წიგნთა რიცხვს მიეკუთვნება. ვინც წლების მანძილზე ადევნებდა თვალს ბ-ნი კორნელი დანელიას მოღვაწეობას, იგი ინტერესით ელოდა ამ დიდი მეცნიერის ნაღვაწის ერთად თავმოყრას.

წიგნი მოიცავს 1974-1992 წლებში სხვადასხვა სამეცნიერო კრებულში გამოქვეყნებულ იმ ნაშრომებს, რომლებიც ქართული სამწერლობო ენის ისტორიის კვლევას ეძღვნება. წიგნი გამოსაცემად თავად მეცნიერმა მოამზადა და ნაშრომები ცალკეულ თემატურ ჯგუფებად წარმოადგინა. პირველ ნაწილში გაერთიანებულია ის სტატიები, რომლებიც ქართული ფილოლოგიის ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხს ეხება - ესაა უცხო ენათა გავლენის კვალი ძველ სამწერლობო ქართულში. საკითხი მეტად მნიშვნელოვანია ქართული ენის ისტორიული შესწავლისათვის, რადგანაც როგორც თავად მეცნიერი აღნიშნავს „საკითხის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ უცხო (ამ შემთხვევაში ბერძნული) ენის გავლენის კვალი ძველი სამწერლობო ქართულის ზედაპირს კი არ ატყვია, ვთქვათ, როგორც ლექსიკური ნასესხობანი, არამედ ენის შიდა სტრუქტურულ შრეებშია აღბეჭდილი და ძნელად შესამჩნევ-აღსაქმელია, ძნელია იმიტომ, რომ ასეთი უცხოენოვანი ელემენტები ოდენ თარგმნილი ძეგლების ენის დამახასიათებელ ნიშნებად კი არ გვევლინება, არამედ ორიგინალური ძეგლების ენის ღრმად შესწავლამ ქართული ენის ბევრი საინტერესო მხარე წარმოაჩინა. მეცნიერის ნაშრომებში მეტად გამოწვლილვითაა შესწავლილ-წარმოდგენილი ის მორფოლოგიური, სინტაქსური თუ ლექსიკურ-სემანტიკური თავისებურებები, რაც ძველ ქართულ სამწერლობო ენას ახასიათებდა და ნაჩვენებია ამგვარი ფორმებისა თუ კონსტრუქციების გაჩენის მიზეზები. მხოლოდ სათუთი თვალის გადავლებაც კი საკმარისია ამის მისახვედრად, რადგან მნიშვნელოვანია ამ მხრივ კვლევა და მისგან მიღებული შედეგები ქართული ფილოლოგიისათვის. ხოლო ამ ნაშრომთა ერთად თავმოყრა კიდევ უფრო საინტერესოსა და თვალსაჩინოს ხდის როგორც თავად საკითხს, ისე ქართული ენათმეცნიერების იმ მიმართულებას, რომელსაც ბ-ნი კორნელი დანელიას მოღვაწეობამ ბევრი რამ შესძინა.

წიგნის მეორე ნაწილი ავტორის ამგვარად დასათაურებია: „ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული თარგმანის ისტორიიდან". მასში წარმოდგენილი ექვსი ნაშრომი ბიბლიური წიგნების ქართული თარგმანის თუ რედაქციების ისტორიას ეხება. ამ ნაშრომებში კვლევა სხვადასხვა კუთხითაა წარმართული - ტექსტის რაობა, სპეციფიკა, ეტნოსი (წარმომავლობა), სტილისტიკური დონე. აქვე წარმოდგენილი მონოგრაფიულად დამუშავებული ცნობილი ალექსანდრიელის სტილისტიკური შრომის ქართული ვერსიები, განხილულია იერემიას წინასწარმეტყველებისა და პავლეს ეპისტოლეთა ქართული რედაქციის წარმომავლობის საკითხები. ბიბლიურ წიგნთა ენის ღრმად შესწავლის საფუძველზე გამოტანილია მნიშვნელოვანი დასკვნა: XI საუკუნიდან ბიბლიის ახალ რედაქციებში ბერძნიზმების რაოდენობა გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. მთარგმნელთა მიზანი იყო ქართული ტექსტი არა მხოლოდ შინაარსობრივად დამსგავსებოდა ბერძნულ დედანს, არამედ გრამატიკულ-სტილური თვალსაზრისითაც, რაც ენის განვითარების ბუნებრივ გზას ეწინააღმდეგებოდა.




წიგნის მესამე ნაწილად წარმოდგენილი ნაშრომები მხატვრული ენის საკითხებს ეხება. ლინგვისტური თვალსაზრისით პოეტური ენის შესწავლა მრავალმხრივ საინტერესოა, მაგრამ ეს სფერო ქართულ ენათმეცნიერებაში ნაკლებადაა შესწავლილი,ამიტომ ბ-ნი კორნელი დანელიას ამ საკითხისადმი მიძღვნილი ყოველი სტატია იმ საფუძვლად ხდება, რომელზეც მომავალი კვლევა უნდა დაეყრდნოს. მეცნიერის მიერ შესწავლილი მასალა სხვადასხვა ეპოქისა და ჟანრის ნაწარმოებებს მოიცავს და მათი პოეტიკურ-ლინგვისტური ანალიზი არა მხოლოდ მწერლის შემოქმედების თავისებურებებს ავლენს, არამედ ქართული ენის ამოუწურავ შესაძლებლობებსაც. მეცნიერის ინტერესთა სფეროში მოექცა და ღრმა მეცნიერული ნარკვევები უძღვნა არაერთ მნიშვნელოვან საკითხს- ბიბლიურ წიგნთა მხატვრული ენა, ჩახრუხაძისა და შავთელის ხოტბათა პოეტიკური ანალიზი, „ვეფხისტყაოსნისა" და „შუშანიკის წამების" მხატვრული ენის სპეციფიკა, ჯემალ აჯიაშვილის თარგმანები.

მეოთხე ნაწილში შესული შრომები კი კონკრეტულ საკითხთა განხილვას ეხება. ესენია: „მიმართულებითი ბრუნვის ადგილისათვის ძველი ქართულის ბრუნვათა სისტემაში", „რა კითხვითი ნაცვალსახელის ბრუნების ისტორიისათვის", „წოდებითის ადგილისათვის ძველი ქართულის ბრუნვათა სისტემაში".

ნარკვევების პირველ ტომში ფილოლოგიით დაინტერესებული მკითხველი ბევრ საინტერესო და საგულისხმო მოსაზრებას ჰპოვებს და დიდი ინტერესით დაელოდება მომდევნო ტომის გამოსვლას, რათა ჭეშმარიტი მეცნიერის - კორნელი დანელიას ღვაწლი ქართულ ფილოლოგიაში „თვალწინ გაისიგრძეგანოს".

კორნელი დანელიას ამ წიგნით ნაღვაწს შეუწყვეტელი სიცოცხლე ისე გრძელდება და გაგრძელდება მანამ, სანამ მას მკითხველი ეყოლება. ეს კი მარადიულობისკენ მიმავალი გზაა...

ნინო შარაშენიძე

# რა ეგების და რა არ ეგების?

ძველ ქართულში ზმნა ეგების ნიშნავს: „შეიძლება", „შესაძლებელია". ამ ზმნას უძღვის ხოლმე არ ან ვერ უარყოფითი ნაწილაკი: **არ ეგების** („არ შეიძლება", „შეუძლებელია"), **ვერ ეგების** („შეუძლებელია"). ამ ზმნასთან შეწყობილი სახელი მოქმედებითის სახელობით ბრუნვაში დგას: „ნუთუ **ეგების** შვილთა საქორწინოისათა გლოვად" (მათე, 9,15); „ნაზარეთით **ეგების-მე** რაჲ კეთილი რაჲმე ყოფად" (იოვანე, 1, 46); „**ეგების-მე** მეორედ დედისა თჳსისად, მუცლად შესლვად?" (იოვანე, 3,4).

**არად ეგების** კაცისა ჰურიასა (საქმ. მოც. 01,28); **არა ეგების** მოსლვად საცთურისად" (ლუკა, 17,1); **ვერ ეგების** დაჴსნად წერილისა მის" (იოვანე, 10,35). „ვეფხისტყაოსანში" ხშირად დასტურდება შესიტყვება **არ ეგების**: <<ეგე ამბავ **არ ეგების**, რომე სხვანი გაეცისახლენ>> (543, 4), (540,3); ყმამან თქვა, თუ: „**არ ეგების** აწ ამისი ასრე თქმისა" (244,1) (243,1).

ახალ ქართულში ზმნა **ეგება**, **ეგები-ს** ასეა განმარტებული: „ძვ. წიგნურ. იხმარება უარყოფით ნაწილაკთან: **არ ეგება (არ ეგების)** არ შეიძლება, არ იქნება, არა ჯერ არს. „მეწყინა მაგრამ დაშლა **აღარ ეგებოდა**" (ილია). „ხანივაგის გატოცება **არ ეგებოდა**" (ვ. ბარნ.) (ქეგლ). „რომ კიდევაც ღირსი ვიყო იქ-ბილესა. ნეტს პირობებში, ემიგრაციაში, იქნებოდ ვის გაეგონოს! **არ ეგების**!" (ი. მეგრელიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, 1989, გვ. 267).

აქაც იხმარება უარყოფა, როგორც ძველ ქართულში იყო - ძველებური თავის ადგილზე.

ჩვენი თანამედროვე კალმოსნების ერთ ნაწილს ძველი ქართულის მცოდნედ მოაქვს თავი და ხშირ-ხშირად ხმარობს ზმნას **ეგების**, ხოლო მასთან შეწყობილ სახელს მიცემით ბრუნვაში სვამს. მე ქვემოთ სოლიდური პრესიდან დავიმოწმებ ფრაზებს, ხაზს გავუსვამ **ეგების** ზმნას და **არ ეგების** შესიტყვებასა და მათთან მიცემითში დასმულ სახელსაც. მკითხველს ვთხოვ ახსოვდეს, რომ **ეგების** ნიშნავს „შეიძლება", **არ ეგების** - „არ შეიძლება". ამ თვალსაზრისით წაიკითხონ ქვემოთმოყვანილი ფრაზები:

„ქვეყნის უცხოეთ წასული ჰაბერი სამოქალაქოს **სახელს** დაუწყება **არ ეგების**". „პოლიტიკოსობა და პოლიტიკოსთან სიახლოვე **არ ეგების მწერალს**, თუ მას მწერლად დარჩენა უნდა". „**მოსამართლეს არ ეგების** პრესაში ხშირ-ხშირად გამოჩენა". „მართლაც ჩვენში მეტი რომ ხდება [illegible], რასაც წაყრუება და მიჩუმათება **არ ეგების**". „კონტროლის პალატის თავმჯდომარე (რ. შავიშვილი), **რომელსაც არ ეგების** პირველი პირის კრიტიკა".

„ცხიმკომბინატის დამხმარე **მეურნეობას** ნამდვილად **ეგების** ყურადღება!" „1997 წელს სრულდება ამ მონუმენტის 1500 წლისთავი, **რომელსაც** ცხადია, სათანადოდ აღნიშვნა **ეგების**". „ქვეყანას ისე მოვიმოქმედებთ, როგორც ეს 9 აპრილის (ასეა!) დაღუპულთ **სულებს ეგების**". „ჩინებულმა ფილოლოგმა" ვერ უნდა გვასწავლოს ქართული, ანუ ბაკალავრებმა, ხელმძღვანელებმა და ძმათა მისთა ვერ უნდა განგვიმარტონ - **ვის ეგების** ქართველად ყოფნა და **ვის** არა".

„ჩინებული ფილოლოგისა" რა მოგახსენოთ, ჩემი ნაცნობი ცნობილი ქართველოლოგები კი ამ ფრაზას ასე გამართავდნენ: „**ვინ ეგების** იყოს ქართველი და **ვინ** - არა". ანდა ამ „მოურიდებელ" „ეგები"-ს არ იხმარდნენ და დაწვდომილი ქართულით დაწერდნენ: „ვინ შეიძლება იყოს ქართველი და ვინ - არა".

გაზეთის, მისი რედაქტორისა და წერილის ავტორის დასახელებისაგან ამჯერად თავს ვიკავებ.

**ალექსი ჭინჭარაული**

# სამედიცინო ტერმინოლოგიის სრულყოფისათვის

## კეისრული თუ საკეისრო

სადღეისოდ ქართული სამედიცინო ლიტერატურის მრავალი ტერმინი, სახელწოდება საჭიროებს დაზუსტებას, მის ყოველდღიურ ხმარებაში დამკვიდრებას.

გთავაზობთ ჩვენს მოსაზრებას, თუ რამდენად სრულყოფილია ტერმინოლოგიის თვალსაზრისით საშვილოსნო ოპერაცია „საკეისრო კვეთა". ცნობილია, რომ ეს სახელწოდება უკავშირდება ლეგენდას, თითქოს კეისარი გაიუს იულიუს ცეზარი გაჩნდა ქირურგიული ჩარევის შედეგად (მუცლისა და საშვილოსნოს კედლის კვეთის შემწეობით)...

წარსულში, ხშირად იყო ამ ოპერაციის სახელწოდების შეცვლის ცდები, მაგრამ უშედეგოდ. „საკეისრო კვეთა" - ეს ტერმინი დამკვიდრებულია როგორც მეანების, ისე სამედიცინო საზოგადოების ფართო მასებში. ჩვენი აზრით, ქართულ სამედიცინო ლიტერატურაში დამკვიდრებული ტერმინი „საკეისრო კვეთა" უნდა შეიცვალოს ტერმინით „კეისრული კვეთა". ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (ერთტომეული, I, 1990) გარკვევით წერია „კეისრული ე.ი. კეისრული გაკვეთა - მუცლისა და საშვილოსნოს გაკვეთა ბავშვის ამოსაყვანად მძიმე მშობიარობის დროს".

იტყვიან „კეისარს კეისრისაო". ვფიქრობთ, ამ პრინციპის მიხედვით სრულიად მართებულია დაიწეროს „კეისრული" და ოპერაციას ეწოდოს „კეისრული კვეთა". ანალოგიური ცვლილებები ამ ოპერაციის ტერმინში სხვა სახელწოდებშიც მოხდა, მაგ. რუსულში „Кесарское сечение" შეიცვალა „Кесарево сечение"-ით.

ჩვენი აზრით, ეს ცვლილება ტერმინოლოგიის მხრივ, სავსებით მართებულია და პოლემიკას არ უნდა იწვევდეს.

*მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი*
**სიმონ ფხაკაძე**



ავთანდილ ნიკოლეიშვილი

# მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობები

მიხეილ ჯავახიშვილი სამწერლო ასპარეზზე მეოცე საუკუნის დასაწყისში გამოვიდა. 1905 წელს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებული თავისი პირველი მოთხრობით („ჩანჩურა“) მან ერთბაშად მიიპყრო ლიტერატურული საზოგადოების ყურადღება, როგორც უაღრესად ნიჭიერმა ბელეტრისტმა. ამ დროიდან მოყოლებული, მისი შემოქმედებისადმი ფართოდ გამოვლენილი ეს ინტერესი არასოდეს მიმცხრალა და მინავლულა.

აი, როგორ იხსენებდა თავად მწერალი თავის ლიტერატურულ დებიუტს მოგვიანებით გაკეთებულ ერთ-ერთ ჩანაწერში: „ამ დროს მწერლობაში „საწყალი კაცი“ იკალათებდა და მეც მიმიზიდა. ერთხელ ბაზარში მათხოვარი დავინახე - ჯუჯა,უბადრუკი, მუნჯი, მასხარა. დიდხანს ვსდიე და ვუთვალთვალე. მერმე საღამოს შვიდ საათზე ჩავუჯექი და მეორე დღეს თორმეტ საათზეღა ავდექი. ახე დაიბადა „ჩანჩურა“. ეს მოთხრობა ორჯერ გადავწერე და „ცნობის ფურცლის“ რედაქციას მივუტანე, რომელმაც ერთი კვირის შემდეგ მწერლობის ოჯახში შემიყვანა.

ერთ საწყალს რამდენიმე საწყალი მოჰყვა („უპატრონო“, „თავდავიწყება“, „მერექმე გაბო“, „კურკას ქორწილი“) და ეს მოტივი ოცი წლის დუმილის შემდეგაც მრავალჯერ გავიმეორე. შეუძლებელია არ განმეორებულიყო, ვინაიდან მწერლისათვის სიბრალული და თანაგრძნობა იგივეა, რასაც თითები წარმოადგენს ოსტატ მეჩონგურისთვის“.

„ჩანჩურაცა“ და მწერლის სხვა ადრინდელი მოთხრობებიც უკვე აშკარად მეტყველებენ იმ მაღალ ლიტერატურულ პროფესიონალიზმზე, რითაც საწყის ეტაპზევე ხასიათდება მწერლის შემოქმედება.

განსხვავებით ჩვენი მწერლობის არაერთი სახელგანთქმული წარმომადგენლისაგან, მ. ჯავახიშვილი თავისი პირველივე ნაწარმოებებით ჩვენს წინაშე მხატვრული სიტყვის უკვე ჩამოყალიბებულ ოსტატად წარმოდგება,ვინაიდან ლიტერატურული დაოსტატების მანამდელ, ე.წ. მოსამზადებელ პერიოდში შექმნილი ნაწარმოები თავად მან ერთიანად მოსპო და გაანადგურა. ამდენად, მწერლის ჩვენამდე მოღწეული პირველივე მოთხრობები, იმის გამო, რომ ისინი მისი სადებიუტო ქმნილებანი არიან, მკითხველისაგან სრულებით არ საჭიროებენ რაიმე შეღავათს. პირიქით, მათში იმთავითვე პოულობს სრულყოფილ გამოვლინებას ბელეტრისტის მწერლური თავისთავადობის განმსაზღვრელი არაერთი სტილური ნიშან-თვისება.

## „ჯილდო“

„ჯილდო“ (1905 წ.) 1905 წლის რევოლუციური მოვლენებით შთაგონებული მოთხრობაა. ნაწარმოების უმთავრეს ხელისუფლებისა და მოხელეების, უბრალო ხალხის, ის გარემოება განსაზღვრავს, რომ მასში ავტორი ზედმიწევნით თვალთახედვით წარმოაჩენს იმჟამინდელ რთულ სოციალურ ვითარებას. სწორედ ამ კუთხით იქცევს ყურადღებას მოთხრობის მთავარი პერსონაჟი - გორისკაცი გიორგი ჯიხაძე, რომელიც ამბოხებული მუშების გახლდ-

ება გამოიყვანეს ქალაქში თანამებრძოლებთან ერთად. საშუალოდ, მეამბოხეებთან შეტაკების დროს უბრალოდ უბედური მებრძოლი მისდა - გიორგის ახალგაზრდა მუშა შემოაკვდა. ნაწარმოების უმთავრესი მიზანსწრაფვის საფუძველი უწინარესად, სწორედ ამ ტრაგიკული ფაქტის ზედმიწევნით გასხვა ქვეყანა. ჯარის ხელმძღვანელობამ „ერთგული სამსახურისთვის“ ჯარისკაცი ოქროს ოქროსთით დააჯილდოვა. მაგრამ თანამებრძოლები, მათ შორის ყველაზე ახლო მეგობრებიც კი, დაუფარავად

გამოხატავენ უკმაყოფილებას გიორგის მიერ ჩადენილი მოქმედების გამო და მასთან ურთიერთობას გაურბიან.

თავად გიორგისათვის მისდა უნებურად ჩადენილი ეს მკვლელობა უმძიმეს ზნეობრივ სატანჯველად იქცა. ნაწარმოებში, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ეს მხარეა ხაზგასმულად წინა პლანზე წამოწეული - ის სულიერი ტანჯვა-წამება, რამაც ერთიანად მოიცვა გიორგი ჯიხაძე იმ ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ. ყაზარმაში დაბრუნებული გიორგი სინანულით ფიქრობდა, „როგორ მოვხდა ყველაფე-

რი და როგორ შემოაკვდა ის კაცი. იმის მოკვლა აზრადაც არ გაუვლია".

გიორგის სულიერ ტანჯვას კიდევ უფრო ამძაფრებდა მოკლულის დედასთან უნებური შეხვედრის გახსენება. "უსაზღვროდ დამწუხრებული "თავის დედას მოაგონებდა და მოკლული მუშის მაგიერად თავის თავი წარმოიდგინა, დედაკაცის მაგიერად კი თავის დედა... გული ეტკინა, გააჟრჟოლა, თვალებზე ცრემლი მოაწვა. მერმე თავის სოფელი, მოხუცი დედა, უმცროსი ძმა, სახლ-კარი, ყანა და საქონელი მოაგონდა. მოაგონდა და წარმოიდგინა, ვითომ ის მოეკლათ, იმის დედა და პატარა ძმა კი ობლად დარჩენილიყვნენ"...

უნებლიე მკვლელად ქცეული ჯარისკაცი ყოველნაირად ცდილობს, თავისი უცოდველობა დაამტკიცოს და ამით ოდნავ მაინც შეიმსუბუქოს სადარდელი. მაგრამ მისი ყველა ამდაგვარი მცდელობა, სამწუხაროდ, ამაო გამოდგა. უახლოესი მეგობრებისთვისაც და თანამებრძოლებისთვისაც იგი ამ ტრაგიკული შემთხვევის შემდგომ მკვლელია.

აი, როგორ გამოხატავს მწერალი იმ დამოკიდებულებას, რომელსაც გიორგის მიმართ თუნდაც მისი ყველაზე მახლობელი ადამიანებიც იჩენენ მის მიერ ნადენილი ამ უნებლიე მკვლელობის შემდეგ: „მეორე დღეს მისი საუკეთესო მეგობრები გულცივად დაუხვდნენ. ცრად დაუწყეს ცქერა და, თითქოს გიორგის მტრები არიანო, ერიდებოდნენ და შორიშორს უვლიდნენ. გიორგიმ ეს ამბავი მაშინვე შენიშნა და გული მოუკვდა: უფრო დაღონდა, გაგარეულდა, აღარავის მიეკარა და სადამომდე მარტო დადიოდა".

ამ დეტალით მწერალმა ნათლად და არაორაზროვნად მიგვანიშნა იმ დამოკიდებულებაზე, რომელიც ჯარისკაცების ამ ყველაზე საიმედო დასაყრდენ ძალას - 1905 წლის სახალხო რევოლუციური ამბოხებისადმი ჰქონდა.

ასე ერთბაშად მოეკრა უმძიმეს სულიერ განსაცდელში ნავარდნილ ჯარისკაცს საკუთარი თავის „ხელობრი-



ვი თვითგამართლების ყველა გზა. მოთხრობაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული იმ ფაქტს, როგორი შეუვალი სიმტკიცით ღვივდება გიორგის ცნობიერებაში გაბატონებული სახელმწიფო რეჟიმის მიმართ მძაფრი პროტესტისა და შინაგანი დაპირისპირების გრძნობა.

ხელისუფლების ინტერესების სადარაჯოზე იარაღით ხელში იძულებით დაყენებულ ჯარისკაცს ამ გრძნობას კიდევ უფრო უცხოველებდა მთავრობასა და ხალხს შორის არსებული დაპირისპირების კრიტიკული განსჯა-შეფასება. მის მიერ ნადენილი სისხლის შემდეგ იგი უკვე სრულიად სხვა თვალით ხედავდა და აანალიზებდა ამ დაპირისპირების არსს და უფრო და უფრო რწმუნდებოდა თავისი ჯარისკაცული მოვალეობის უსამართლობასა და უაზრობაში.

მორიგი დავალების შესასრულებლად ქალაქში გამოსული ჯარისკაცი უკვე ნათლად გრძნობდა იმ მტრულ დამოკიდებულებას, რომელსაც მისი და მისი თანამებრძოლების მიმართ იჩენდა ხალხი. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით მწერალი: „ქუჩაში გამოსულ სალდათებს ყველანი ცრად უყურებდნენ და უბღვერდნენ. ზოგნი ზიზღით ათვალიერებდნენ, ზოგნი კი შიგ თვალებში უცქეროდნენ და აშკარად ემუქრებოდნენ".

მისდა უნებურად ნადენილი ცოდვის მონანიების გრძნობამ გიორგი მოკლული მუშის დედასთან მიიყვანა. თავისი გულწრფელი აღსარებით იგი ამაოდ შეეცადა გაწამებული მშობლისათვის როგორმე თავისი უდანაშაულობა დაემტკიცებინა და ხელისუფლების „ერთგული სამსახურისათვის" ჯილდოდ მიღებული თუმნიანი მოკლულის ოჯახისათვის გადაეცა საჩუქრად. მაგრამ როცა არც მის ამ მცდელობას მოჰყვა რაიმე შედეგი, იმედგაცრუებულმა გიორგიმ ყაზარმაზე ერთბაშად ხელი ჩაიქნია და ერთი შეხედვით მეტად რომანტიკული გადაწყვეტილება მიიღო- საბოლოოდ მიატოვა „მყრალი ყაზარმა", თანამებრძოლები და შინაგანად უკვე თავისუფალმა და „ხულიგ-



21.684

საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

რი მოვალეობისაგან" თავდახსნილმა მშობლიური სოფლის იდილიურ ყოფას მიაშურა, სადაც მისი ნახვით „დაფაცურებული დედა" და სხვა მახლობელი ადამიანები ელოდებიან. მათთან ყოფნის სურვილმა გიორგის არსება იმედნად მოიცვა და გული ისეთი „აღელვებული ხლვით" აევსო, რომ ახლა იგი „თავისი სოფლის სახლ-კარისა და დედის ნახვის გარდა აღარაფერზე ჰფიქრობდა"

ამ ფიქრით სახეგანათებულსა და ღრუბელგადაყრილ ნახალვათარს „ნაბიჯი გაუმტკიცდა, გული გაუმაგრდა და იმის ყოველ მიხვრა-მოხვრასა და იერში მტკიცე გადაწყვეტილება, იმედი და სიხარული მოჩანდა. გულიდან მძიმე ბარგი მოეშვა, ტანი გაუმსუბუქდა და იღლიებში ფრთები გამოესხა.

მტკიცე და დინჯი ნაბიჯით მიდიოდა; მიდიოდა ზღვით, ზღვაზნის მთისკენ; მიდიოდა იქ, სადაც არც პოლკი იყო, არც მკრალი ყაზარმა, არც სულელური მოვალეობა, ოჯახის და მეზობლების ნახვა, ტოლ-ამხანაგებში გარევა, საქონლის მოვლა, ყანაში მუშაობა, დღეობა-ქორწილში სიარული, ქალებთან თამაში, ლხინი, ტკბილი მინდორი და მთის წყარო.

მიდიოდა ლეზურტირი და თან რაღაც სიმღერას ღიღინებდა".

ასეთია შინაგანი პროტესტისა და სულიერი ამბოხების გამოვლენის ის ფორმა, რითაც მ. ჯავახიშვილის მოთხრობის მთავარი გმირი იმ რეჟიმს უპირისპირდება, რომელმაც ქვეყნად პატიოსანი და უპრეტენზიო ცხოვრებისათვის მოვლენილი კაცი უნებლიე მკვლელად და მოკვასის ცოდვით სულდამძიმებულ ადამიანად აქცია.

## „მიწის ყივილი"

მ. ჯავახიშვილის არაერთი ქმნილება რეალურად მომხდარი ამბითაა შთაგონებული. მაგრამ კონკრეტული ფაქტებისა და მოვლენების ამოსავალი გამოყენება ნაწარმოების შექმნის საფუძვლად სრულებითაც არ ზღუდავდა მწერლის შემოქმედით ფანტაზიასა და პრობლემატურ მასშტაბურობას. მიუხედავად იმისა, რომ მ. ჯავახიშვილის მიერ დახატული რამდენიმე პერსონაჟის მხატვრული სახე რეალურად არსებულ პროტოტიპზე დაყრდნობით შეიქმნა,მათი პიროვნული ბუნება ბელეტრისტმა ფართოდ განაზოგადა და სისხლხორცეულად დაუკავშირა ეპოქალურ მოვლენებს.

ამის ნათელი დადასტურებაა ცნობილი მოთხრობა „მიწის ყივილი" (1927-28 წწ.). მწერლის ქალიშვილმა ქეთევან ჯავახიშვილმა საგანგებოდ შეისწავლა ამ ნაწარმოების შემოქმედებითი ისტორია და გაარკვია, რომ მოთხრობის მთავარი პერსონაჟისათვის კაიშაურის - პროტოტიპი იყო უცხოეთში გარდაცვლილი ცნობილი ქართველი ემიგრანტი ვარლამ ჩერქეზიშვილი, რომელიც 1925 წელს გარდაიცვალა ლონდონში. მისი თავგადასავალი ზუსტად ემთხვევა ნაწარმოებში მოთხრობილ ამბავს. ეს ნათლად და არაორაზროვნად დასტურდება მოთხრობის შინაარსისა და მწერლის არქივში დაცული იმ მასალების ერთმანეთთან შედარებით, რომლებშიც ჩერქეზიშვილის ცხოვრების ამბავია გადმოცემული. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1926 წელს პარიზში გამოცემული ქართული ემიგრანტული გაზეთის ის ნომერი, სადაც ჩვენი ემიგრაციის ამ თვალსაჩინო წარმომადგენლის ხსოვნისადმი მიძღვნილი ორი წერილია დაბეჭდილი (უფრო დაწვრილებით ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით ის: ქეთევან ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, 1989 წ. გვ. 224-239).

ვარლამ ჩერქეზიშვილის ტრაგიკული ბედით მწერლის დაინტერესება, როგორც მართებულად შენიშნავს ქ. ჯავახიშვილი, შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა. მ. ჯავახიშვილისათვის ძალზე „ნაცნობი იყო ის გრძნობა, რომელსაც ქართველი ადამიანი უცხოეთში ყოფნისას განიცდის... მართალია,მან მცირე ხნის განმავლობაში, მაგრამ მანაც განიცადა საკუთარ თავზე, თუ რას ნიშნავს იძულებული იყო მოწყდე მშობლიურ მიწას, სამშობლოდან გადაიხვეწო და უცხო მხარეში იცხოვრო. მწერალს არაერთხელ უთქვამს, რომ უცხოეთში ყოფნისას მას მშობლიური მიწა საოცარი ძალით თავისკენ ეწეოდა და მოსვენებას არ აძლევდა".

მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, აქვე ისიც ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ „მიწის ყივილი" დოკუმენტურ ნაწარმოებს არ წარმოადგენს და მოთხრობის პროტოტიპის თავგადასავალში მწერალმა მიზანსწრაფულად შეცვალა ზოგიერთი რამ. კერძოდ, სამოქმედო ადგილი მასში ლონდონიდან საფრანგეთშია გადატანილი, რაც ორი უმთავრესი გარემოებით უნდა აიხსნას: ჯერ ერთი, იმით, რომ 20-იანი წლებიდან ჩვენს ქვეყანაში ბოლშევიკურ სახელმწიფოებრივ დიქტატურას გამოქცეულმა ქართველ ემიგრანტთა ყველაზე დიდმა ნაწილმა საფრანგეთში, პირველ ყოვლისა პარიზსა და ლევილეში, მოიყარა თავი, და მეორეც, მწერალი გარკვეული დროის განმავლობაში თავადაც ცხოვრობდა პარიზში და ლონდონზე ბევრად უკეთესად იცნობდა იქაურ ყოფას.

არც ისაა შემთხვევითი, რომ მ. ჯავახიშვილმა, რეალური ფაქტებისაგან განსხვავებით, თავისი მოთხრობის გმირის ფერფლი ქართულ მიწას დაუბრუნა. სიმბოლური მნიშვნელობის მქონე ამ ფაქტით მწერალმა კიდევ ერთხელ გამოხატა ნათლად და მკაფიოდ თავისი ეროვნულ-პატრიოტული თვალთახედვა - მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილი ყოველი ადამიანი, თუ ცოცხალი არა, მკვდარი მაინც, საბოლოოდ სამშობლოს უნდა დაუბრუნდეს და მისი წიაღის ღვიძლ და მარადიულ ნაწილად იქცეს.

„მიწის ყივილით" მ. ჯავახიშვილმა ერთხელ კიდევ განაცხადა მშობლიური კუთხისადმი სიყვარულის იდუმალი ძალა. სწორედ ეს სიყვარული და მისგან გამონაშუქი სინათლე გამოდგა ის ერთადერთი მარადიული

სულიერი ფასეულობა, რომელიც აზრს აძლევს ათასგვარ განსაცდელგამოვლილი მიხრწნილი მოხუცის - ანდრო კაიშაურის - მინავლულ სიცოცხლეს. სად არ ათრია ბედისწერამ იგი, რა ხიფათი და განსაცდელი არ გადაატანინა. ბავშვობიდანვე მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილი ხან რუსეთის მეფეს ებრძოდა, ხან პოლონეთის აჯანყებას ამზადებდა, ხან კონსტანტინოპოლში დაეძებდა ხსნის გზას. ბედის განგებამ საფრანგეთში გამოირიყა, ანდრე კაშორად იქცა, ოჯახი შექმნა და თავისი ცხოვრების დარჩენილი დრო იქ გაატარა. მეხსიერებადახლეჩილებულ ტერორისტს თითქმის მთლიანად დავიწყებია თავისი ხიფათიანი წარსული.

მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილი კაშორი ბედნიერი შემთხვევის წყალობით შეხვდება ქართველ სტუდენტს თავის ქართველობას გაუმხელს. მაგრამ ხსოვნადაშრეტილი ამის მეტს ვერაფერს იხსენებს, რაც სამშობლოსთან იქნება დაკავშირებული. ასე აქცია იგი მკაცრმა ბედისწერამ ეროვნებადაკარგულ „ზოგად ადამიანად", „ინტერნაციონალად", „მთელი კაცობრიობის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის მებრძოლ კაცად". „ჯერ ადამიანი ვარ, შემდეგ კი ფრანგით", - ეუბნება ანდრო ქართველ სტუდენტს და ამ სიტყვებით ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მისი მანამდელი ცხოვრების ხასიათზე.

მაგრამ ქართველ სტუდენტთან შეხვედრამ ერთბაშად ყველაფერი თავდაყირა დააყენა, კაშორის დაშრეტილი ცნობიერება ძირფესვიანად გარდაქმნა და მის არსებაში ათწლეულობით დათრგუნულმა ეროვნულმა გრძნობამ გაიღვიძა. ასე იქცევა ჩვენს თვალწინ, სულ რამდენიმე დღეში, ანდრე კაშორი ანდრო კაიშაურად და სიცოცხლეგაშრეტილი,მიხრწნილი მოხუცის სხეულში ერთბაშად ცოცხლდება ყველაფერი, რაც მას სამშობლოსთან აკავშირებდა.

ანდრო კაიშაურად გარდაქმნილი ანდრე კაშორი ქართველ სტუდენტისათვის ნათქვამ თავის პატრიოტულ აღსარებაში თავადვე გამოდის საკუთარი ბედუკუღმართი ცხოვრების ულმობლად და შეულამაზებლად თვითშემფასებლის როლში და თავის თავს „საწყალ მოხუცს", „გზადაკარგულს, უპატრონოს" უწოდებს. „მე ღარიბ-ლატაკი კაცი ვარ, - მთელი ცხოვრების მანძილზე მცდარი გზით



მავალი ადამიანის იმედგაცრუებით ამბობს იგი. - რაც რამ მქონდა სიცოცხლე, ძალ-ღონე, ახალგაზრდობა და ერთი მუჭა ნაშრომი - ყოველივე იმას შევწირე: ინტერნაციონალს, სოციალიზმს, პროლეტარიატს, ბრძოლას".

მხოლოდ სიცოცხლის გასათავარში მიხვდა და სასიკვდილო აგონიაში ნაგვარდნილი ჩასწვდა ის სრულიად შემთხვევით ამ დიდი ჭეშმარიტების არსს, რაც თავად მის მიერვე ამგვარი ფორმით გამოხატა ქართველი სტუდენტისთვის ნათქვამი შემდეგი სიტყვებით: „ნადირი სანადიროდ გავა, ფრინველი - საკვებისათვის, ადამიანი - საბრძოლველად და საბოლოოდ მერე ყველანი დაბრუნდებიან: მხეცი ისევ ბუნაგში შევა, ფრინველი ბუდეს მიაშურებს, ადამიანი- თავის ქოხს. მე კი წამოველი და ველარ დავბრუნდი. ვიბრძოლე, ვიმუშავე, არარაფერი შემრჩა, გარდა ოთხმოცდარვა წლის ტვირთისა... მძიმე,მეტად მძიმე ტვირთია, საცაა გავისრისები".

ასე ერთბაშად გაწყვიტა ეროვნულ ცნობიერებაგაღვიძებულმა კაიშაურმა თავის მეორე სამშობლოსთან დამაკავშირებელი ყველა სასიცოცხლო ნერვი და ამიერიდან ყველაზე მახლობელი ადამიანებისათვისაც კი გადამთიელ უცხოელად იქცა, ეროვნული ფესვებითაც და ენითაც მათგან სრულიად გაუცხოებულ პიროვნებად.

სასიკვდილო სარეცელზე მყოფ მოხუცს ახლა მხოლოდღა ერთი მიზანი, ერთადერთი ოცნება ასულდგმულებდა: როგორმე ცოცხალს ჩაეღწია სამშობლოში. მართალია, იქ მას უკვე არავინ ელოდებოდა, მაგრამ მთავარი ეს კი არ იყო, არამედ ფიქრი იმისა, რომ იქ ჩასულს სამშობლო დახვდებოდა, მშობლიური მიწა და ხალხი. სამწუხაროდ, ეროვნული გრძნობის ამდაგვარი აფეთქება ანდროს ფრანგ ნაშიერთათვის სრულიად გაუგებარი და მხოლოდღა ირონიული ღიმილის მომგვრელია.

მართალია, კაიშაურის ამ უკანასკნელ სურვილს ასრულება არ ეწერა,მაგრამ მან უკანასკნელი ვალი მაინც დაუბრუნა მშობელ მიწას-მისი ფერფლი, მისივე ანდერძის თანახმად, ქართველმა სტუდენტმა მშობლიური ანანურის ნიავს გაატანა.

ანდრო კაიშაურის ტრაგიკული ცხოვრებისა და გარდაცვალების ამბის მოთხრობით შ. ჯავახიშვილმა კიდევ ერთხელ განგვაცდევინა მძაფრი ემოციურობით მშობლიური მიწისადმი სიყვარულის ილუმალი გრძნობა და კონკრეტულ ცხოვრებისეულ შემოხვევას განზოგადების ფართო მასშტაბები შესძინა.



# ლია ლეჟავა

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი ლია ლეჟავა. ქართულმა მეცნიერებამ დაკარგა სანიმუშო, განათლებული, დაკვირვებული, მუყაითი და უპრეტენზიო მკვლევარი-ფილოლოგი, მშობლიური ენის საუკეთესო მცოდნე და ერთგული მსახური. ქართულ საზოგადოებას, კოლეგებს გამოაკლდათ ღირსეული, გონიერი, კეთილსინდისიერი, კეთილად განწყობილი პიროვნება; ერთ მისთან, მადლმოსილი ოჯახს კი გამოეცალა ბურჯი - მშვიდი, ხათრიანი მეუღლე, სანიმუშო ნიჭიერი ვაჟიშვილის დედა, შვილიშვილების ბებია...

ლია ლეჟავა ქ. ქუთაისში დაიბადა 1924 წლის 5 ნოემბერს. იქ, ქუთაისის მაშინდელ გამორჩეულ ინტელიგენტურ გარემოში გაიარა ბავშვობა; იქვე მიიღო პირველდაწყებითი განათლება. 1936 წლიდან (როცა ოჯახი თბილისში გადმოსახლდა საცხოვრებლად) ლია სწავლობდა თბილისის მე-2 საშუალო-სანიმუშო სკოლაში, რომელიც 1942 წ. დაამთავრა და იმ წელსვე გახდა სწავლი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

სტუდენტობის წლებიდან გამოიკვეთა ლ. ლეჟავას მეცნიერული ინტერესები: მისწრაფება, საფუძვლიანი ცოდნა და დიდი შრომისმოყვარეობის უნარი. მისი ნაშრომები ქართული დიალექტოლოგიის საკითხებზე ქვეყნდებოდა ისევ სტუდენტური შრომების კრებულში...

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე (1948 წ.) ლ. ლეჟავა მისმა დიდმა მასწავლებლებმა - არნ. ჩიქობავამ და ვ. თოფურიამ სამუშაოდ მიიწვიეს ენათმეცნიერების ინსტიტუტში, ლექსიკოლოგიის განყოფილებაში. მაშინ მზადდებოდა საუკეთესო დიდი ერთგული საქმე - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მრავალტომეულის შედგენა-გამოცემის. ლია, მისთვის ჩვეული მუყაითობით, კეთილსინდისიერად ასრულებდა ყველა აუცილებელ ლექსიკოლოგიურ სამუშაოს მონაწილეობა... მის მიერ მომზადებული მასალები შესულია განმარტებითი ლექსიკონის II,III,V,VI,VII ტომებში.

1949-52 წლებში (განმარტებითი ლექსიკონზე მუშაობისაგან მოუწყვეტლივ) ლია ლეჟავა იყო ქართველურ ენათა განყოფილების ასპირანტი. 1954 წელს მან დაიცვა სამეცნიერო ხარისხი თემაზე: „ქართული ანდაზების ენა". მისი ვრცელი (400-მეტ გვერდის მოცულობის) ნაშრომი „ქართული ანდაზები" გამოქვეყნდა „ხალხური სიბრძნის" V ტომში 1965 წელს. ეს ნაშრომი, როგორც საზოგადოდ აღინიშნავდა პროფ. გოგოლაშვილი, დამუშავებულია ფილოლოგიურად სანიმუშოდ.

მუდამ გაუწყვეტელი ინტერესით იკვლევდა ლია ქართული (და კავკასიური) ფოლკლორის, ქართული დიალექტოლოგიის, მწერლის ენის საკითხებს და ბევრი საინტერესო ნაშრომიც აქვს გამოქვეყნებული, მათ შორის: „დიალექტის ხალხური ანდაზების კრებული", „ზემოიმერული მასალები ენათა სოფლის მეცხოვრებთა მეტყველების მიხედვით", „დავითის ზემო სვანების შესწავლისათვის" და სხვ.

და მაინც, თავისი ცხოვრებისა და მეცნიერი მოღვაწეობის უმთავრესი პერიოდი ლია ლეჟავამ მიუძღვნა ქართული სალიტერატურო ენის მეტყველების კულტურის მისი საქმე, მისთვის მიძღვნილი საკითხის სათანადო განმარტება და მოწესრიგება. ლია იყო ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების თანამშრომელი დღიდან დაარსებისა. ამიტომ იგი უმეტეს მონაწილე, აქტიური მონაწილე (და პირველნიც შემდგენელიც) განყოფილების ცხოვრება-მუშაობისა.

ლ. ლეჟავას მიერ შესრულებული სალიტერატურო ენის ნორმათა პრობლემის (მეტადრე - სინტაქსისა და ლექსიკოგრაფიული საკითხების) ხელს შეუწყობს ქართული სალიტერატურო ენის შემდგომ დახვეწა-გამართულებას და დღემდე ემსახურება პრაქტიკულ საქმიანობაში სალიტერატურო ენის ნორმების მომხმარებელს. პრაქტიკული სტილისტიკის საკითხებში მიძღვნილი მისი ნაშრომებიდან აღსანიშნავია: „მიმღეობის როგორი დაბოლოება ... არაფორმალურ მიმღეობებთან შესაძლებლობაში", „-ეს და -ის აფიქსებიან ტიპის სახეობის სახელთა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები", „ზოგი კავშირის ხმარების შესახებ", „შეცვლილი შემასმენელი მრ-ში დასმულ ქვემდებარესთან" და სხვ.

ლია ლეჟავა აქტიური მონაწილეობას იღებდა საშუალო სკოლის სახელმძღვანელოების, აგრეთვე პრესისა თუ რადიო-ტელევიზიის ენის დასახვეწად მიმდინარე საქმიანობაში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დიდი სიზუსტით და გულისყურით დაწერილი მონოგრაფია განყოფილების დამაარსებელსა და პირველ ხელმძღვანელზე - პროფ. ივანე გიგინეიშვილზე.

ბოლო წლებში ლ. ლეჟავა დიდი გატაცებითა და სიყვარულით მუშაობდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორიის საკითხებზე (რამდენიმე ვრცელი წერილი გამოქვეყნებულიც აქვს, ამზადებდა მონოგრაფიას... გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრეც იგი სამუშაო მაგიდას უჯდა და სამომავლო გეგმებს ულოლიავებდა. სწორედ ასეთი - ქალდიდებში ნაყვარი, მოუსვენარი, მხნე, საქმიანი თავისადმი მომთხოვნი, სხვებთან კი მომთმენი და მომტევებელი - დარჩება ლია ლეჟავა ოჯახის, ახლობლების, კოლეგების ხსოვნაში.

*არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი*
*ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება*

*ქალბატონ ლია ლეჟავას ოჯახს*
*სამძიმარი ვინფრიდ ბოედერისაგან*

*ქალბატონი ლიას გარდაცვალების ამბავმა ძალიან შემაწუხა. 16 წლის განმავლობაში სულ მზად იყო თავისი შესანიშნავი ცოდნითა და დაუღალავი მოთმენით მომხმარებოდა მე ქართული ანდაზების ახსნის საქმეში. ძალიან დიდად ვაფასებდი მის მეცნიერულ ნაშრომებს, რომლებითაც ბოლო წლებში მუდამ ვსარგებლობდი.*

*რაც მთავარია, ქალბატონი ლია ძალიან მიყვარდა. უაღრესად თავაზიანი და წყნარი ქალბატონი იყო. მომავალში მისი მეცნიერული რჩევები და მისი თბილი ღიმილი ნამდვილად დამაკლდება.*

*მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის ქართული მიწა.*

*ვინფრიდ ბოედერი*
*ოლდენბურგის უნივერსიტეტი*
*გერმანია*
*7.IV. 2000*

# ქართულად ამეტყველებული კომპიუტერი...

## ედუარდ შევარდნაძე

დღეს უაღრესად მნიშვნელოვანია კომპიუტერული პროგრამების გაქართულების, კომპიუტერის ქართულად „ამეტყველების" პრობლემა. ურთულესი საკითხია. კომპიუტერიზაცია გარდუვალია და რომ ეს პროცესი სულ მალე მოიცავს ფაქტიურად ყველა სკოლას, მათ შორის, დაწყებით სკოლებსაც - ამაზე უკვე არავინ დავობს და ყველა უნდა შევგუოს ამ ფაქტს. ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ საქართველოს პატარა მოქალაქეს, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს იგი: თბილისში, ხულოში, თელავში, მესტიასა თუ შატილში, უნდა ჰქონდეს საშუალება, ქართულად იმუშაოს კომპიუტერთან; ქართულენოვანი პროგრამებით გადაწყვიტოს ესა თუ ის ამოცანა ინფორმატიკის სფეროში.

ქართული გვერდები უნდა არსებობდეს აგრეთვე ინტერნეტის გლობალურ ქსელში. ამ პრობლემას პრიორიტეტულ მნიშვნელობას ვანიჭებ; სახელმწიფო კანცელარიის ინიციატივით, ჩამოყალიბდა ახალგაზრდა მეცნიერთა ჯგუფი. მასში გაერთიანებულნი არიან ენათმეცნიერები და პროგრამისტები, შესასრულებელია ძალიან დიდი მოცულობის სამუშაო, თუმცა ახალგაზრდულ ენერგიასა და ნიჭს წინ არაფერი დაუდგება; ყოველ შემთხვევაში, ბატონი თედო ისაკაძე, სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, რომელიც კურირებს ამ საქმეს, გვპირდება, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის სამიათასწლოვანი იუბილეისთვის კომპიუტერი უკვე ქართულად ამეტყველდება.

ეს კიდევ ერთი დიდი ეროვნული გამარჯვება იქნება; ამიტომ ახალგაზრდა მეცნიერებს გამარჯვებას ვუსურვებ: ქართული ენათმეცნიერული სკოლა უდიდესი ტრადიციების მატარებელია, ხოლო ქართველი პროგრამისტები კომპიუტერულ დარგში თითქმის ტოლს აღარ უდებენ თავიანთ ამერიკელ, რუს, იაპონელ და ფრანგ კოლეგებს...

*ფრაგმენტი რადიოინტერვიუდან*
*(1999 წლის 27 დეკემბერი)*

14 აპრილს ქართული ენის დღესთან დაკავშირებით ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსნა პირველი ქართული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გამოფენა. იქვე გაიმართა ქართული ენის კომპიუტერული მოდელის წარდგინება. მოდელი წარმოადგინა „ქართულმა ინფორმატიკულ-ლინგვისტურმა ცენტრმა", რომელიც ძალისხმევას არ იშურებს, რათა საქართველო ქართულ ენაზე ჩაერთოს ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის თანამედროვე ტექნოლოგიაში.

გთავაზობთ კახა ბაბუნიას მიერ წარდგინებაზე წარმოთქმულ სიტყვას; აქვე ვბეჭდავთ საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ ედუარდ შევარდნაძის რადიოინტერვიუდან ფრაგმენტს, რომელშიც ამ ინფორმატიკულ-ლინგვისტური ცენტრის შესახებაა საუბარი.

**კახა ბაბუნია**

პატივცემულო საზოგადოებავ!

ჩვენთვის ძალიან დიდი პატივია დღეს წარმოგიდგინოთ პროექტი, რომელიც, ჩვენი აზრით, 21-ე საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაჭრას ემსახურება. ეს პროექტი იქცევა პროგრამად, რომელიც კიდევ უფრო განამტკიცებს ქართული ენის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობასა და ფუნქციას. ქართული ენა მართლაც ბურჯია ჩვენი ეროვნებისა და უაღრესად სიმბოლურია, რომ ამ პროექტის პრეზენტაცია შედგა სწორედ 14 აპრილს, - დიდი ეროვნული გამარჯვების დღეს, როდესაც, როგორც იტყვიან, ერმაც და ბერმაც, ხალხმაც და იმდროინდელმა ხელისუფლებამაც, უდიდესი რისკის ფასად, გადაარჩინა ეს ბურჯი და ამით ალბათ დიდწილად განაპირობა კიდეც საქართველოს სახელმწიფოებრიობის მომავალი გამარჯვება.



დღეს, დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნულ წიგნსაცავში, ჩვენ უკვე შეგვიძლია საუბარი დედაენის ახალ ფუნქციაზე.

საქართველოს პრეზიდენტმა ერთ-ერთ გამოსვლაში სავსებით მართებულად განაცხადა, რომ III ათასწლეული კომპიუტერისა და ინტერნეტის ათასწლეული იქნება და რომ კომპიუტერი - თანამედროვეობის ეს საოცრება - აუცილებლად უნდა ამეტყველდეს ქართულად ისევე, როგორც მეტყველებს ინგლისურად, რუსულად, გერმანულად, იაპონურად, ჩინურად და სხვა, მაღალი კულტურის მქონე ენებზე. ენა, რომელზეც შეიქმნა „ვეფხისტყაოსანი" და „ლექსი ვეფხისა და მოყმისა", ნამდვილად იმსახურებს ამ პატივს.

განვითარების გარკვეულ ეტაპზე ყოველი ერის წინაშე დგება საკუთარ ენაზე ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის პრობლემა, რაც დღის წესრიგში აყენებს, პირველ ყოვლისა, დამწერლობის შექმნის საკითხს.

ქართველებმა მრავალი საუკუნის წინ გადაჭრეს ეს პრობლემა, რისთვისაც რთული, მაგრამ ყველაზე სწორი გზა აირჩიეს - შექმნეს ორიგინალური ანბანი, რომელიც სრულად ასახავდა ქართული ენის ბუნებას, მის თავისებურებებს.

მოგეხსენებათ, დაიწყო ახალი ეპოქა, [illegible] ინფორმაციის გავრცელება ბეჭდვითი გზით, რაზეც დღეს იყო საუბარი...

ამჟამად კი ჭეშმარიტად დიდი ეროვნული ამოცანაა ქართული

ენის სრულფასოვანი ნაწილი ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის თანამედროვე ტექნოლოგიებში.

ამ უმნიშვნელოვანეს ეროვნულ საქმეში ჩვენი წვლილის შესატანად ჩამოყალიბდა „ქართული ინფორმატიკულ-ლინგვისტური ცენტრი". ცენტრში გაერთიანებულნი არიან პროგრამისტები: მერაბ ზაკალაშვილი, გიორგი ლომსაძე, კახა ორკოშნელი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლები, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი კახა გაბუნია, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატები: ნანა ლოლაძე და ქეთევან დათუკიშვილი.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში წლების განმავლობაში მიმდინარეობდა უმნიშვნელოვანესი კვლევა-ძიება, რამაც თეორიული საფუძველი მოუმზადა ქართული ენის მოდელირებას. მოდელირების რეალიზაციისათვის, კერძოდ, კომპიუტერული პროდუქციის შესაქმნელად აუცილებელია ლინგვისტთა და პროგრამისტთა ერთობლივი მუშაობა. სამწუხაროდ, სადღეისოდ საქართველოში უკვე შესაძლებელია ისეთი მოქნილი სტრუქტურების შექმნა, რომლებიც ხელს უწყობს ამგვარ საქმიანობას. სწორედ ასეთ სტრუქტურას წარმოადგენს ჩვენი ცენტრი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ცენტრის ძალისხმევა, რათა ქართული ენა სათანადოდ იყოს წარმოდგენილი მსოფლიოში ფართოდ გავრცელებულ კომპიუტერულ სისტემებში. ჩვენი პროგრამისტები თანამშრომლობენ კორპორაცია „მაიკროსოფტთან", რომელიც არის პროგრამული პროდუქტების წარმოების მსოფლიოში აღიარებული ლიდერი. კერძოდ, კახა ორკოშნელი გახლავთ ამ ფირმის წამყვანი პროდუქტების ოფიციალური ტესტერი. ცენტრმა დიდი წვლილი შეიტანა „მაიკროსოფტის" პროდუქტებში ქართული ენის უზრუნველყოფის გადაწყვეტის საქმეში, რისთვისაც ამ კორპორაციის მადლობა დაიმსახურა.

დღეს წარმოდგენილი პროგრამის ავტორი გახლავთ მერაბ ზაკალაშვილი, რომლის პროფესიონალიზმმა და თავდადებამ განსაზღვრა ჩვენი დღევანდელი შედეგი.

ამ სამუშაოში ჩვენი ცენტრის ყველაზე ახალგაზრდა წევრი გიორგი ლომსაძე, იმედი გვაქვს, რომ მისი ხელასი ნიჭი დიდად წაადგება ჩვენს საქმიანობას.

ახლა კი, ნება მიბოძეთ, მოკლედ მოგახსენოთ აქ წარმოდგენილი პროგრამის შესახებ:

ამგვარი პროგრამის მისაღებად საჭიროა ბუნებრივი ენის (ამ შემთხვევაში - ქართულის) მათემატიკური მოდელის შექმნა და მისი რეალიზაცია კომპიუტერული ტექნოლოგიების საშუალებით. ამოცანის სირთულეს განაპირობებს ის გარემოება, რომ ქართული ენა პრინციპულად განსხვავდება იმ ენებისაგან, რომლებისთვისაც უკვე არსებობს ამგვარი მოდელები. ამიტომ აუცილებელია ორიგინალური მიდგომა, რათა სრულად აისახოს ქართული ენის თავისებურებები.



ამ მიმართულებით წლების განმავლობაში საქართველოში არაერთი ჯგუფი მუშაობს, რომელთაც საკითხისადმი განსხვავებული მიდგომა აქვთ. ჩვენ მიერ წარმოდგენილ პროგრამას საფუძვლად უდევს ქართული ენის მორფოლოგიის მოდელის ჩვენეული ვარიანტი. მოდელის ავტორები არიან: ქეთევან დათუკიშვილი, ნანა ლოლაძე, კახა გაბუნია.

ქართული ენა გამოირჩევა ფორმათა სიმდიდრით. ერთი ძირისაგან მიიღება ათეულ ათასობით სიტყვა. ეს სიტყვა განპირობებულია სიტყვათქმნადობის მრავალფეროვნებით. ქართულ ენას აქვს უნარი, ერთი და იგივე ძირი აქციოს როგორც ზმნად, ისე სახელად. ჩვენი მოდელი იძლევა ყველა ამ შესაძლებლობის რეალიზაციის საშუალებას. კომპიუტერში შეყვანილი გვაქვს იგი ათასი ძირი.

პროგრამის მუშაობით მიიღება 40 მილიონი სიტყვა; გარდა ამისა, პროგრამას აქვს უნარი, ავტომატურად აწარმოოს უცხო ძირისგან ენობრივად დასაშვები ნებისმიერი ფორმა. პროგრამამ მოითხოვა დიდი მოცულობის სამუშაოების შესრულება: ქვალიფიციურ შემოქმედებით საქმიანობასთან ერთად, გვიხდებოდა მძიმე, რუტინული შრომაც-კოლეგები აგან ჩვენთვის სასურველი შედეგი გამოიღო. მიღებულ პროგრამულ პროდუქტს აქვს როგორც პრაქტიკული, ისე წმინდა მეცნიერული ღირებულება.

მორფოლოგიის მოდელი წარმოადგენს ქართული ენის სრული მოდელის პირველ ნაწილს, რაც მნიშვნელოვანი საფუძველია ენის სინტაქსური და სემანტიკური მოდელების შესაქმნელად, რომელთა განხორციელებაც ჩვენს სამომავლო მიზანს წარმოადგენს.

პროგრამის საფუძველზე შეგვიძლია შევქმნათ სხვადასხვა სახის საძიებო სისტემები, სპეციალური სასწავლო პროგრამები საშუალო და უმაღლესი სასწავლებლებისათვის, აგრეთვე უცხოელებისათვის, ქართული მართლწერის შემოწმების პროგრამა, სათარგმნი სისტემები და ა.შ. გარდა ამისა, ჩვენი პროგრამა შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ყველა იმ სისტემაში, რომელიც საჭიროებს ქართული ენის მოდელს.

წარმოდგენილი პროგრამის განხორციელება შესაძლებელი გახდა ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს" მხარდაჭერით, რომელმაც შეგვიქმნა სამუშაო ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალება.

ჩვენი საქმიანობით დაინტერესდა სახელმწიფო კანცელარია, პირადად სახელმწიფო მინისტრის მოადგილე - ბატონი თემურ იაკობაძე, რაც იძლევა სათანადო სახელმწიფო მხარდაჭერის იმედს.

დასასრულს, გვინდა ულრმესი მადლობა მოვახსენოთ ყველა იმ ადამიანს, რომელთაც ხელი შეგვიწყეს ჩვენს საქმიანობაში: ქალბატონ გუჯა კვარაცხელიას, ბატონ თემურ უთურგაიძეს და, საერთოდ, ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთელ კოლექტივს; ფონდს - „ღია საზოგადოება საქართველოს" და განსაკუთრებით კი ჩვენს დღევანდელ მასპინძელს, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს - ბატონ ლევან ბერძენიშვილს.

2000 წლის 23-24 მარტს გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია კომპიუტერულ ლინგვისტიკაში - „მოდელი-2000". სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სხვა სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებათა წარმომადგენლებმაც. კონფერენციის მუშაობა ძალიან საინტერესოდ წარიმართა და დიდი აქტუალობით გამოირჩეოდა. კონფერენციამ აჩვენა კომპიუტერულ ლინგვისტიკაში ქართველ მეცნიერთა ბოლოდროინდელი მიღწევები, რაც დადასტურდა კონფერენციის ბოლოს წარმოდგენილი კომპიუტერული ჩვენებებით. ახალგაზრდა მეცნიერთა ჯგუფმა - ქ. დათუკიშვილი, ნ. ლოლაძე, კ. გაბუნია, მ. ზაკალაშვილი - წარმოადგინა ქართული მორფოლოგიის მოდელი.

კონფერენციაზე მოხსენებები წაიკითხეს: თ. უთურგაიძემ, მ. ქურდიანმა, ქ. დათუკიშვილმა, კ. გაბუნიამ, ნ. ლოლაძემ, რ. ასათიანმა, ი. შალურმა, მ. თანდაშვილმა, ლ. მარგველანმა, მ. სახოკიამ, ტ. გურგენიძემ, ც. კვანტალიანმა, ლ. ჩხაიძემ და სხვებმა.

* * *

2000 წლის 10–14 აპრილს გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და თბილისის ი.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო სესია **„არნოლდ ჩიქობავას საკითხავები – XI"**. სესიის თემატიკა მრავალფეროვანი იყო: წაკითხული იქნა 40-ზე მეტი მოხსენება.

სესიის მასალები გამოქვეყნდა.

* * *



2000 წლის 26-27 აპრილს გაიმართა ი.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ერთობლივი სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა პროფესორ **ალექსი ლეკიაშვილის** დაბადების 80 წლისთავს.

# „ბურჯი ეროვნებისას" მკითხველთა კონფერენცია

2000 წლის 21 აპრილს სამტრედიის გიორგი ნიკოლაძის სახელობის მრავალპროფილიან სკოლა-ლიცეუმში „XXI საუკუნე" (დირექტორი **ნატო კოპალეიშვილი**) გაიმართა ჟურნალის „ბურჯი ეროვნებისა" მკითხველთა კონფერენცია, რომლის ორგანიზატორიც იყო ლიცეუმის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **ნინო ტონია**.

კონფერენცია გახსნა **ნ. კოპალეიშვილმა**. „ბ.ე." ზოგადად მიმოიხილა **ნ.ტონიამ**. ჟურნალის ცალკეული რუბრიკების, მისი მხატვრული გაფორმებისა და მნიშვნელობის შესახებ ისაუბრეს ლიცეუმის მოსწავლეებმა: **კარლო თავაძემ, სოფიკო ლეჟავამ, ზოია კოპალეიშვილმა, თინათინ ტაბიძემ, ინგა ხარებავამ, ზაზა ჯანელიძემ, ვახტანგ თავაძემ, ქეთევან გუმბერიძემ, თეა სიჭინავამ.**

მოსწავლეთა მიერ წაკითხულმა ყველა მოხსენებამ საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. საინტერესო ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ **თინათინ ტაბიძის** მოხსენებას, რომელშიც საინტერესო პრაქტიკული საკითხებიცაა დასმული...

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს და სიტყვები წარმოთქვეს სამტრედიის სხვადასხვა სკოლებისა და გიმნაზიების პედაგოგებმა:

**ზოია სტურუამ, თამარ კორკოტაძემ, ნანა ნაცვლიშვილმა, ჟუჟუნა ფრანგიშვილმა, მზია ბალდავაძემ, ნონა კობრავამ, ნინო დვალიშვილმა, ლია ნიკურაძემ**; აგრეთვე სამტრედიის ინტელიგენციის წარმომადგენლებმა: **ნათელა გელეიშვილმა, ნოდარ ადეიშვილმა, სულიკო ნინუამ, გენო გეგეშიძემ**; ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტებმა: **ნესტან კუტივაძემ, გია ხოფერიამ, ლუკა დვალიშვილმა და ზაალ კიკვიძემ.** დასასრულს სიტყვა წარმოთქვა და შეკითხვებს უპასუხა ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა პროფ. **გიორგი გოგოლაშვილმა.**

# კანონი მოქმედებს, მაგრამ...

ჟურნალი „ბურჯი ეროვნებისა" თავისი არსებობის პირველი დღიდანვე განგაშის ზარს დაარისხებს ენის ნორმების საშიშად დარღვევის გამო. მისი რუბრიკა „ო, ენავ ჩემო!" სათანადო ფოტომასალისა და ქართული ენის იგნორირების ამსახველი ფაქტების გამოქვეყნებით ამხელს ენისადმი გულგრილად განწყობილ ქართველობას და შეახსენებს მისი დაცვის აუცილებლობას.

ჟურნალის „ბურჯი ეროვნებისა" 1999 წლის №12-ში მე-18 გვერდზე იბეჭდება საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ, რომელიც ეხება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მხოლოდ ქართული წარწერებისა და აბრა-ვიტრინების დაცვას. კანონის დამატებითი III მუხლი გვაუწყებს, რომ „უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით და რაოდენობით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ წარწერებს".

მიუხედავად კანონის ამოქმედებისა, ხშირად აქვს ადგილი აბრების ენის უმოწყალო დარღვევებს. მაგალითად, ჩვენი ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე მდებარე კაფე-ბარს ბევრად უფრო დიდი ზომის ასოებით აქვს გაკეთებული ინგლისური წარწერა, ვიდრე ქართული. ასეთებია: „ორიონი", „რიოზა" და სხვ. ჩვენ მცირე ექსპედიცია მოვაწყვეთ სამტრედიის აგრარული ბაზრის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე და აქ მოთხოვნა - წარწერის ქართული ანბანით შესრულებისა - დაცულია, მაგრამ ქართული ენა კი ნამდვილად დაუცველია.

ამგვარი განცხადების საფუძველს ნამდვილად გვაძლევს ასეთი წარწერები: **„სამალიარო", „შპაკლი", „სალიარკა", „ზაკუსკა", „ოპტავოი", „კრასკები"**

უცხო ენოვანი წარწერები ადევს გასაყიდად დახლზე მოთავსებულ საქონელს: **„პონჩიკი", „პერაშკი", „კორმა", „პასტა", „სპიჩკა", „გაროხი", „კალბასი", „სასისკი", „ბულკი", „გრეჩიხა", „ბრიტვა", „მალაკო", „ტუფლის მაზი", „ლამპოჩკა", „ნასკი", „იმპორტული საქონელი", „სარეცხი პარაშოკი", „გარცოცა"**.

ამ წარწერების მიხედვით ისეთი შემაძრწუნებელი აზრი შეიძლება დაიბადოს, რომ თითქოს ქართულში რუსულად სახელდებული საგნების შესატყვისი სიტყვები არა გვაქვს.

გულუბრყვილოდ დავაპირეთ ქართული ენის გამო ქომაგობა და მშობლიური ენის უარმყოფელებს მოკრძალებით შევახსენეთ, რომ სასურველი იქნებოდა ქართველი მყიდველებისათვის ქართულ ენაზე ეწერებინათ, რას სთავაზობდნენ შესაძენად.

შენიშვნის ადრესატების განწყობა არაერთგვაროვანი აღმოჩნდა: ზოგმა რისხვით შემოგვიტია: „სხვა რა არის წესრიგში, აქედან იწყებთ ქვეყნის გამოსწორებას?" არც ის შიში დაუმალავთ, რომ მყიდველი ვერ გაიგებდა ქართულენოვანი წარწერის შინაარსს. მაგ.: რას ნიშნავდა „გაროხი" ან „გრეჩიხა". გასახარი მხოლოდ ის იყო, რომ თვითონ გამყიდველმა იცოდა, „გაროხი" ქართულად ბარდას რომ ნიშნავდა, ოღონდ ამის ახსნას მყიდველებისათვის ზედმეტ ჯაფად მიიჩნევდა და არც მათი დაკარგვა სურდა ქართული სიტყვის შიშით.

ერთგან დამაიმედებელ სურათსაც წავაწყდით; გამყიდველმა შენიშვნისთანავე შეცვალა წარწერა და სამომავლოდაც მზადყოფნა გამოთქვა შეცდომის შემთხვევაში შენიშვნების მიღებისა.

სამწუხაროდ, ასეთი ენობრივი პოზიციისა და ალღოს, მამულიშვილური ნერვის მოქალაქეები არ დგანან უმოწყალოდ დამახინჯებული წარწერების მიღმა და კვლავაც ძველ ადგილზე რჩება აბრა-ვიტრინები: **„ინერტიული მასალები"; „სპორტიული მაღაზია"...**

გაუგებრობასა და მწარე ღიმილს იწვევს სავაჭრო დაწესებულებების უცნაური სახელწოდებები: **„ბემისი", „ბონგი"**. ზოგი კი გაუგებრად შერჩეული თუნდაც ქართული სახელი. მაგ.: **„ჩაკონა"**. ანდა ლათინური ანბანის მთავრული ასოებით შესრულებული წარწერა შამპანურის, ლიქიორისა თუ სხვადასხვა ალკოჰოლიანი სასმელის ბოთლზე, თუმცა მათი სახელწოდებები ქართულენოვანი სიტყვები გახლავთ: მაგ.: „ედელვაისი"; „მიმინო" და სხვ. არ ვიცით შეიძლება თუ არა ერქვას მაღაზიას სახელად შერწყმული წინადადება: „ჩვენთან ყველაფერი იაფია და ხელსაყრელი".

*სამტრედიის გიორგი ნიკოლაძის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-ლიცეუმის „XXI საუკუნე" IX კლასის მოსწავლე*
თინათინ ტაბიძე




ლელა
ფანჯიკიძე

ირაკლი
ავალიანი







ეროვნული
ბიბლიოთეკა